გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N11 (9155) 21 აპრილი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

2

“ბინძური წყალი კლავს!”

4

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლე

„გვაქვს ყოველი ზღვრის მიღწევის ამბიცია და დარწმუნებული ვარ, ყველაფერს შევძლებთ”

6

აუდიტმა სარეკომენდაციო წერილები მოამზადა

2

“რამდენადაც რთულია ლექსიკონის შედგენა, იმდენად მარტივია მისი გაკრიტიკება”

5

ზიზი ხველიძე ფრანკოფონიის კონკურსის გამარჯვებული

9

სამტრედიის “ჯეოჰოსპიტალსმა” სამი წლის დავითს სიცოცხლე აჩუქა

24 აპრილი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეა!

9

10

ლიტერატურულ კლუბს საძირკველი ჩაეყარა

“აქ კარგად რომ ვისადილებ, საღამოს ჩაის ვსვამ და ვიძინებ”

2

8

“მტრედები” კეთილი მისიით

აუდიტმა სარეკომენდაციო წერილები მოამზადა

ნინო ნანიტაშვილი

2 თვეზე მეტია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შიდა აუდიტის სამსახური თვითმმართველობის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში არსებულ მდგომარეობას სწავლობს. 27 ააიპ-დან დღეისათვის 12-ის წესდება, შინაგანაწესი, დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა და შტატებია შესწავლილი. პარალელურად შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მიერ ჩატარდა შემოწმებები სამსახურებში თანამშრომელთა გამოცხადების შესახებ, ასევე, რამდენად ესაჭიროებათ ეს თუ ის თანამდებობა და რამდენადაა დაკავებული მასზე დასაქმებული ადამიანი.

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა, თამარ ჯიბაშვილმა შტატების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარეს 12 ააიპ-ის შესახებ სარეკომენდაციო წერილები უკვე გადასცა: "პროცესი გრძელდება. შემოწმებულ ააიპ-ში რეკომენდაციები გვაქვს. კერძოდ, აშკარად აქვს ადგილი ე. წ. გაბერილ შტატებს, მუნიციპალიტეტის გამგებელს სარეკომენდაციო წერილები გადავეცით. გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს წერილები დაურიგდა შესაბამის ააიპ-ებს, მათ მიეცათ 7 დღიანი ვადა, თავიანთი მოსაზრებები წარმოედგინათ. ნაწილისგან მიღებულია, ნაწილს გამგებელი ელოდება.

აქვე მინდა განმარტების სახით გითხრათ, ჩვენმა სამსახურმა მოამზადა სარეკომენდაციო წერილები, რომელიც შეიძლება გაითვალისწინოს ამა თუ იმ ააიპ-ის ხელმძღვანელმა, ანდა დაასაბუთოს, რომ ესა თუ ის შტატი მას ესაჭიროება."

ია ბერძული შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსია. მთავარ სპეციალისტთან, გიორგი ხურციძესთან ერთად იგი ინსპექტირებას სისტემატურად აწარმოებს. განყოფილებამ კონკრეტული ფაქტები გამოავლინა.

ია ბერძული, ინსპექტირების განყოფილების უფროსი: "ვიყავი დიდ ჯიხაიშში, საიდანაც გაკვირვებული დავბრუნდი, პრაქტიკულად არ არსებობს კულტურის სახლი, რომელსაც შტატით ჰყავს დირექტორი და წლების განმავლობაში ხელფასს იღებს. დაბა კულაშის ბიბლიოთეკაში ოფიციალურად 2 უმცროსი ბიბლიოთეკარია გაფორმებული. აღმოვაჩინეთ, რომ დაბა კულაშის ბიბლიოთეკაში ჩვენს მიერ რეალურად ნანახი ბიბლიოთეკარი მეორე ბიბლიოთეკარს არ იცნობს, თვალითაც არ უნახვს, სინამდვილეში ის ბიბლიოთეკარი ხელფასს იღებს. როცა უცნობი ბიბლიოთეკარი მოვიკითხეთ, აღმოჩნდა, რომ მუნიციპალურ ბიბლიოთეკას იგი შიდა ბრძანებით გადაყვანილი ჰყავს ხუნჯულაურის გაუქმებულ ბიბლიოთეკაში.

სპორტული სკოლის დირექტორს, გენო ნიკურაძეს ეყო გამბედაობა, საჭიდაო კლუბ "ფალავანიდან" თვითონ წამოსულიყო, სადაც მწვრთნელ-მასწავლებლად იყო გაფორმებული და ხელფასს იღებდა.

უფრო საოცარი სიტუაცია დაგვხვდა კულტურის ცენტრში: 8 ადამიანი ხელფასს იღებს იმ პოზიციებზე, რომელიც კულტურის ცენტრს ფუნქციონალურად არ ესაჭიროება – კულტურა და ძეგლთა დაცვის კუთხით. გაოცებული დავრჩით საზოგადოებრივ ჯანდაცვაშიც. წყლის ლაბორატორიაში დასაქმებულია 6 ადამიანი. ამ უკანასკნელს კი არ გააჩნია ლიცენზია და შესაბამისად არ აქვს უფლება წყლის ლაბორატორიული კვლევა ჩაატაროს. ინსპექტირების განყოფილება მსგავსი ფაქტების გამოვლინებას გააგრძელებს და ამის შესახებ ინფორმაციას სისტემატურად მოგაწოდებთ. ეს არის წინა ხელისუფლების შეცდომა, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტს არამიზნობრივ ხარჯებს უზრდიდა და მძიმე ტვირთად აწევს დღევანდელ ხელისუფლებას."

ზაალ ჭოხონელიძე შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილების უფროსი: "ჩვენ ჩავატარეთ სამი ორგანიზაციის აუდიტორული შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით. ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიის და საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული თანხების მიზნობრიობაზე, გამოყენების კანონიერებაზე, ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაზე, რამდენად სწორად ხელმძღვანელობენ ორგანიზაციები საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ" №1321 ბრძანებით. აღნიშნული შემოწმების შედეგად, მიუხედავად გამოვლენილი ხარვეზებისა, სამუშაოები ძირითადად შეფასდა დადებითად, კონკრეტულ ორგანიზაციებს ჩვენი მხრიდან გარკვეული სახის რეკომენდაციები გაეწიათ".

"აქ კარგად რომ ვისადილებ, საღამოს ჩაის ვსვამ და ვიძინებ"

ნინო ნანიტაშვილი

უფრო უკეთესი პირობებიც რომ იყოს, ის უნდათ. თუმცა კმაყოფილებას ვერ ფარავენ იმით, რაც აქვთ. უმრავლესობა ისეთია, აქ რომ არ იკვებებოდეს, ვერც იარსებებდა.

ლიანა თურქაძეს მარტო თავისი თავი როდი ეკუთვნის. სოციალურად დაუცველ ორ ქალბატონს, ჯანმრთელობაშერყეულ დედა-შვილს გამოსაკვებად უფასო სასადილოში ორი ბავშვი დაჰყავს.

ლიანა თურქაძე: "ვარ ინვალიდი, მარტოხელა დედა და ბებია, ლაშა თევზაძის ქუჩა № 4-ში ქირით უკიდურესად გაჭირვებით ვცხოვრობ. არც პენსია მაქვს და არც სამსახური. ჩვენი ერთადერთი შემოსავალი სოციალური დახმარებაა. ეს სასადილო რომ არ იყოს, არ ვიცი, როგორ ვიარსებებდით".

ფატმა გერაძე ავადმყოფ მეუღლესთან ერთად ძველი ფოსტის ეზოში ცხოვრობს. მის მატერიალურ გაჭირვებას ისიც ამძაფრებს, რომ საკუთარი ჭერი არ გააჩნია: " ადრე, მშობლების ოჯახში ფარნავაზის ქუჩაზე ვცხოვრობდი. ავადმყოფ ქმართან ერთად ზურგი შემაქციეს და იძულებულები გავხდით, ძველი ფოსტის ეზოში გაგვეთია ღამე. ეს სასადილო რომ არ იყოს, შიმშილით დავიხოცებოდით".

ყოველი მეორე დღის გათენება უხარია ამირან კალაძის ქუჩაზე მცხოვრებ მარტოხელა ქალბატონს, დარეჯან ქავთარაძეს: "ძალიან კმაყოფილი ვარ, მიხარია, ამდენი ხალხი რომ ზრუნავს ჩემზე. დიდი ხანი არ არის, რაც უფასო სასადილოთი ვსარგებლობ, თუმცა გეტყვით, რომ აქ რომ არ ვსადილობდე,

ძალიან გამიჭირდებოდა.

დღეს ყველასთვის რთულია ცხოვრება, განსაკუთრებით მარტოხელა პენსიონერებისთვის. აქ კარგად რომ ვისადილებ, საღამოს სახლში ჩაის ვსვამ და ვიძინებ".

უფასო სასადილოთი მხოლოდ ინვალიდები და უპატრონო ადამიანები რომ არ სარგებლობენ, ამაში იური ჩაჩუა ჩვენც გვარწმუნებს: "ამ ხალხს რომ უყურებთ, მათი ნაწილი წარსულში სახელოვანი ადამიანი იყო. ზოგი ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში სამ ცვლაში მუშაობდა, ზოგი ხის დამმუშავებელ კომბინატში წლების განმავლობაში მტვერს ყლაპავდა. 14 წლიდან ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში ვმუშაობდი მღებავად, შემდეგ ზეინკლად დამაწინაურეს. ამჟამად პენსიონერი ვარ და სახელმწიფო ამ ფორმით ზრუნავს ჩვენზე. მინდა, კარგად გამიგოთ: ხალხი უკეთესსაც იმსახურებს. დღევანდელი მთავრობა ბიუჯეტის გაზრდას გვპირდება, რაც ჩვენისთანა ხალხის კეთილდღეობაზეც აისახება. "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი, იმედა გოგავა სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის. მე მისი მწამს და მჯერა, რომ ქვეყანაც წავა წინ და გაჭირვებული ადამიანების საშველიც იქნება".

საუბრები სოციალურად დაუცველებთან "სამტრედიის მაცნემ" წითელ პარასკევს უფასო სასადილოში ჩაწერა. იმავე დღეს მონიტორინგის ჯგუფმა ბენეფიციარები გამოჰკითხა. ისინი სასადილოთი მოსარგებლეებს უსვამდნენ კითხვებს: არსებული მენიუთი იყვნენ თუ არა კმაყოფილნი, სოიოს ფარშის ქაბაბისა და კატლეტის ნაცვლად, დაბრუნებულიყო თუ არა გაყინული ქათმის ბარკალი.

მაკა ჩაჩუა, მონიტორინგის ჯგუფის წევრი: "უმრავლესობამ სურვილი გამოთქვა, ხელმოწერითაც დაადასტურეს ახალ მენიუზე თანხმობა, მცირე ნაწილმა ქათმის ბარკლის დაბრუნებაზე სურვილი გამოთქვა".

10 აპრილს, წითელ პარასკევს "სახლმა თანადგომამ" 135 ბენეფიციარს უფასო სასადილოში წინასააღდგომო აქცია-სადილი გაუმართა. ტრადიციული სადილის ბოლოს "სახლი თანადგომას" თანამშრომლებმა სოციალურად დაუცველ თანაქალაქელებს სააღდგომო საჩუქრები მოუმზადეს: წითელი კვერცხი, პასკა, სანთელი, კვერცხი, კანფეტი.

"სამტრედიის მაცნე" ამ დღეებში კომენტარისთვის "სახლი თანადგომას" დირექტორს დაუკავშირდა. მზევინარ ბოხუა, ააიპ-ი "სახლი თანადგომას" დირექტორი: "ჩვენ ვითვალისწინებთ ბენეფიციართა ინტერესებს, რაც ძირითადად კვების რაციონში ცვლილებების შეტანას გულისხმობს, შარშან, ჩვენი მოსადილეები ხშირად გამოთქვამდნენ პრეტენზიას ძველ მენიუსთან დაკავშირებით. კერძოდ, არ მოსწონდათ ქათმის გაყინული ბარკლები. გვთხოვდნენ, იგი შეგვეცვალა თევზით. შენიშვნებს გამოთქვამდნენ იმის გამოც, რომ სუპი იყო კვირაში ორჯერ. მათ მოისურვეს, ერთი სუპი სხვა კერძით ჩაგვენაცვლებინა. გავითვალისწინეთ ყოველივე ეს და სუპი ქაბაბით შევცვალეთ, ბარკალი – თევზით. ვერ ვიტყვით, რომ სოციალურად დაუცველ ჩვენს მოსადილეებს ყველაფრით უზრუნველყოფილს ვხდით, მაგრამ ჩვენი ბიუჯეტი რის საშუალებასაც გვაძლევს, მაქსიმალურად ვიყენებთ, მათ თხოვნასაც ვითვალისწინებთ. ცნობისათვის, თითოეულ ბენეფიციარზე დღეში საშუალოდ იხარჯება 1 ლარი და 8 თეთრი. აღნიშნული თანხით კვების რაციონის სხვაგვარად გაუმჯობესება შეუძლებელი ხდება".

"ბინძური წყალი კლავს!"

სტუდენტების: ნინო მარგიშვილის, ანუკი ჯანელიძის, ია კარკაძის და მოსწავლეების: გიორგი ცაგარეიშვილისა და თეა მიქელაძის მიერ მოწყობილ აქციას მომავლის პარკში სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ. აქცია საერთაშორისო კონკურსის "დიდი ნახტომის შეჯიბრი" ფარგლებში მოეწყო. სამტრედიაში აქციის ორგანიზატორი იყო ჯგუფი "კრეატიული ჩემპიონები". ახალგაზრდებმა გამოიტანეს პლაკატები წარწერით: "ბინძური წყალი კლავს!" ისინი მიზნად ისახავენ დაბინძურებისაგან წყლის დაცვას და ამ იდეის პოპულარიზაციას.

როგორც აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, მე-9 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ თეა მიქელაძემ გვითხრა, იქ მყოფმა სტუდენტებმა და მოსწავლეებმა ერთმანეთი არასამთავრობო ორგანიზაციაში "სამტრედიის განვითარების ასოციაცია" გაიცვნეს. (ხელმძღვანელი გურამ კვანტალიანი).

"კრეატიული ჩემპიონების" ერთ-ერთმა წევრმა, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ნინო მარგიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: "ამ აქციით გვსურს საზოგადოებას მოვუწოდოთ, რომ ბინძური წყალი კლავს, არ დავაბინძუროთ წყალი და ვიცხოვროთ სუფთა გარემოში. ჩვენ ვმონაწილეობთ "დიდი ნახტომის შეჯიბრში, შემოგვიერთდით!"

ნათია ნაცვლიშვილი

იმედისა და გლოვის 9 აპრილი

ნათია ნაცვლიშვილი

26-ე 9 აპრილი მოვიდა და დღესაც არ განელებულა ძველი ტკივილი, როცა რუსული იმპერია რუსთაველზე საქართველოს თავისუფლების იდეით გაერთიანებულ უამრავ ადამიანს ტანკით, ხიშტით და მომწამლავი მხუთავი გაზით დაუპირისპირდა. გამთენიისას ტანკების გამოჩენას უდრეკად შეხვდა მლოცველი ხალხი, უსინათლოებმა სიმღერა წამოიწყეს: "დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს"... მოგვიანებით პოეტმა დაწერა, "შამულო, გქონია იმდენი სინათლე, თვალებში ჩაგხედეს უსინათლოებმა"... რუსმა სამხედროებმა "ბარ-ნიჩბით გაგვილახეს გაზაფხული. ატირდა თბილისი, ტიტების ცეცხლი მოედო გამზირს, სადაც უმანკო გოგო-ბიჭებისა და ქალების სისხლი დაიღვარა. შეკრა და შეადუღაბა ტკივილმა ერი...

ორი წლის თავზე, საქართველოს პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ, სიმბოლურად 9 აპრილს საქის უკვდავსაყოფად ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, საკრებულოს წევრები, სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლები, დილიდანვე მივიდნენ მათი ხსოვნის მემორიალთან. გვირგვინითა და ტიტებით შეამკეს მემორიალი. შესრულდა ის სიმღერები, რომლეთა მოსმენა გვამხნევებს, ქართული სულის სიძლიერეს განგვაცდევინებს. ისევ აჟღერდა "ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები". ეროსი მანჯგალაძის კულტურის სახლთან არსებულმა ვაჟთა ანსამბლმა "სამტრედიამ" შეასრულა "ჩემო კარგო ქვეყანავ" რეჟისორმა როლეზ გოგიშვილმა წაიკითხა "დროშები ჩქარა"... ემოციური იყო ნანა დუნდუას მიერ წაკითხული "ანათემა".

შეკრებილთ პირველი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია მიესალმა: "ეს განსაკუთრებული დღეა, 9 აპრილი არის ჩვენი ქვეყნის ტკივილიანი დღე, 26 წელი გავიდა და ჩვენი გულისტკივილი არ განელებულა, ჩვენ არ გვაქვს უფლება, არ მივაგოთ პატივი მათ სულებს, ქედს ვიხრით დაღუპულ გმირთა ხსოვნის წინაშე, ეს იყო პატრიოტიზმის უდიდესი გამოვლინება, ქართველმა იმ ღამეს იგრძნო, რომ ის ქართველია. ყველა თაობა ვალდებულია, ქედი მოიხაროს მათი ხსოვნის წინაშე".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური: "ეს ტკივილიანი, მაგრამ საამაყო დღეა, ამ ღამით დიდი გადატრიალება მოხდა ქართველთა ცნობიერებაში, ჩვენ იმ ღამით დამპყრობელი რუსეთი დაგვიპირისპირდა, მაგრამ მაინც ვერ დაგვაჩოქა, მინდა შეგახსენოთ, რა მოწოდებები ისმოდა იმ ღამეს, როგორი ერთიანი იყო ერი, როგორ უყვარდათ ერთმანეთი ქართველებს, ამ ერთიანობამ განსაზღვრა შემდეგ ჩვენი დამოუკიდებლობა, ამ სისხლზე და მსხვერპლზე დაეშენა დიდი გამარჯვება. "საქართველოს დამოუკიდებლობას გაუმარჯოს!" _ ასე დასრულა მან თავისი გამოსვლა.

ახალგაზრდა "კონსერვატორმა" ბაჩო ნადირაძემ წაიკითხა ლადო ასათიანის "სალაღობო".

"კონსერვატორთა" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელმა ქეთევან აბრამიშვილმა კი თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ისინი მოვალენი არიან, ღირსეულად გააგრძელონ გმირი წინაპრების ტრადიციები.

"ჩვენი ღამეც გათენდება, საქართველო არ მოკვდება!" _ ემოციურად დაასრულა გამოსვლა რეჟისორმა ვეფხია ნადირაძემ, რომელსაც ღონისძიება მიჰყავდა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია: "საქართველოს ეროვნული მოძრაობა დაუპირისპირდა კბილებამდე შეიარაღებულ იმპერიულ ძალას და რუსთაველის გამზირზე ტანკებით, ალესილი ნიჩბებით გაილაშქრეს აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, 21 ადამიანი დაიღუპა, ამ უთანასწორო ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია, 2 წლის შემდეგ ეროვნულმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობა აღა-

სამშობლოს, ვინც იმ ღამეს იქ იდგა".

ღონისძიებას ორგანიზება მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურმა გაუწია, სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე იმ პერიოდის სტუდენტია და კარგად ახსოვს აპრილის დღეები:

"თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის წინა პლანზე იდგა ეროვნული მოძრაობის დღეებში, ჩვენც იქ ვიყავით და ემოციით ისე დატვირთული ვარ, ვერ აღვიწერთ. მე მინახავს 9 აპრილის დილას გაგიჟებული თბილისი, ეს იყო უმძიმესი სანახავი. ბრძოლა გაგრძელდა, შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობას მიაღწია. ვეცადეთ რაც შეიძლება მოკრძალებული ღონისძიება მოგვეწყო".

იმ დღეს მემორიალთან მისულ ხელისუფლების წარმომადგენლებს ტიტები დახვდათ, როგორც გავარკვიეთ, ეს ყვავილები დილით "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა მიიტანეს. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს, ბეჟან გეგეშიძეს მივმართეთ შეკითხვით, რა გვასწავლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ, რატომ ვერ მოვახერხეთ ჩვენს პატარა ქალაქში, 9 აპრილს ერთად მიეტანათ ყვავილები მემორიალთან პოლიტიკურ ძალებს...

_ ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ქართველებმა მაინც ვერ ავიღეთ სწორი მაგალითი, ვერ გამოვიტანეთ სწორი დასკვნა. გუშინდელივით მახსოვს ის 9 აპრილი, თვალწინ მეხატება, როგორი შეკრული და ერთიანი იყო ქართველი ერი. ეს დღემდე გვაკლია, ვერ ვისწავლეთ ჩვენს მაგალითზე, ვერ ვსწავლობთ და ეს ძალიან ცუდია. მენიშნა თქვენი სიტყვები, მართალი ბრძანდებით, ბოლოს და ბოლოს, უნდა ვისწავლოთ ერთად დგომა ქართველებმა".

იგივე შეკითხვას საკრებულოს წევრი დავით ამაღლობელი პასუხობს:

_ რამდენადაც ვიცი, გამგეობას დღევანდელი ღონისძიება დილით ჰქონდა დაგეგმილი. ჩანს "ნაციონალებმა" გადაწყვიტეს, დაესწროთ ხელისუფლების ღონისძიებისათვის. შეიძლება ზოგიერთ პარტიას აწი აქვს მისვლა გადაწყვეტილი. ეს მათი პირადი აზრია. არ იფიქროთ, ეს ჩემს სიხარულს იწვევს, გეთანხმებით ეს ღონისძიება ყველასია, 9 აპრილს დაღუპულთა სულები ზევიდან დაგვყურებენ, იმათ თავი შესწირეს ყველაზე წმინდა საქმეს, რასაც საქართველოს ერთიანობა და თავისუფლებისთვის ბრძოლა ჰქვია. მაშინ სრულიად საქართველო გაერთიანდა ამ მიზნისათვის, ჩვენდა სამწუხაროდ, მსხვერპლის გარეშე ვერ მოხდა დამოუკიდებლობის მოპოვება. ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ავთანდილ თადუმაძემ დაადასტურა, რომ 9 აპრილს დილით "ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა და მათმა მხარდამჭერებმა (რამდენიმე ათეულმა ადამიანმა) პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულთა სულებს.

ბავშვები საცირკო წარმოდგენაზე

15, 16 და 17 აპრილს ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ნაწილი საცირკო წარმოდგენას დაესწრო. ამ საქმის ორგანიზატორი მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურია, სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე:

"ჩვენთან სტუმრად არის ცირკი "შაპიტო" ბათუმიდან. მათ ჰყავთ უკრაინელი და ჰოლანდიელი მსახიობები. ცირკის ხელმძღვანელობამ ქველმოქმედების მიზნით 100 ბილეთი გადმოგვცა, ჩვენ 15 ბილეთი გადავეცით ინკლუზიურ ცენტრს "ლამპარი", ნაწილი სოციალური სამსახურის მიერ მოწოდებულ სიაზე დაყრდნობით გადავეცით სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებს, ნაწილი კი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებთან ერთად ჩავაბარეთ სკოლის დირექტორებს, რომელთაც ჰყავთ სოციალურად დაუცველი პირველკლასელები".

საინტერესო და მხიარული საცირკო წარმოდგენები ლაშა თევზაძის ქუჩაზე 26 აპრილამდე გაგრძელდება.

ნათია ნაცვლიშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის საალღმომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერმონაზონნო, ყოველნო ერთგულნო და თავდადებულნო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, საქართველოს მკვიდრნო და დროებით სამშობლოს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო.

“მაშ, ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და სულით, რომელნიც არიან ღმრთისა” (კორინ. 6, 20)

“ლხენით ვილხენ უფალში და ხარობს ჩემი სული ჩემს ღმერთში, რადგან შემმოსა ხსნის სამოსელით” (ეს, 61, 10)

“დღეს აღდგომისა დღე არს, გაბრწყინდებოდეთ აწ ერნო...” (ზატიკი)

უფალი, “რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის, აღსდგა ჩვენს განსამართლებლად. (რომ. 4. 25) და სიკვდილიცა მოკლულ იქმნა მის მიერ (პარაკლ.) გიხაროდეთ!

ქრისტე აღდგა!

სად არის სიკვდილო საწერტელი შენი?

ქრისტე აღდგა!

სად არის ჯოჯოხეთო ძლევაი შენი? (I კორ. 15, 55)

“აღდგა ქრისტე და დაირღვიე შენ; აღდგა ქრისტე და დაეცნენ ეშმაკნი; აღდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს” (წმ. იოანე ოქროპირი).

როგორც პავლე მოციქული ამბობს, ცოტას თუ ვინმეს შეუძლია სიცოცხლის გაწირვა მართალთათვის, ქრისტემ კი თავი დადო ჩვენთვის, რომელნიც ვიყავით უცხონი, მტრები და მოწინააღმდეგეები მისთვის (შდრ. რომ. 5; 6-8).

_ და რატომ ვიყავით მტრები და უცხონი?

_ ღმერთი სიყვარული არს და ამ გრძნობით შექმნა და განმსჭვალა მან მთელი ხილული და უხილავი სამყარო.

ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება სხვისთვის მსახურებაში, სიკეთეში, სიმართლეში, მშვიდობაში, სიწმინდეში, მოწყალებაში, სიხარულში...

ასეთი მადლით იყო მოცული ცოდვით დაცემამდე მთელი სამყარო, დედამიწა და მკვიდრნი მას შინა.

როდესაც გველის ცდუნებით ადამმა და ევამ ღვთის მცნება დაარღვიეს, ამით მათ შემოქმედზე და მისი მცნებებით ცხოვრებაზე თქვეს უარი. უარი თქვეს იმ სიყვარულზე, რომელიც სხვისთვის გასცემს ყველაფერს და არ ეძებს თავისას; მადლდაკარგულებს ამპარტავნების ვნება დაეუფლათ, ეგოისტური აზრები და თავის თავზე ორიენტირებული სიყვარული გაუჩნდათ და წაერთვათ საგანთა და მოვლენათა არსში სრულყოფილად წვდომის უნარი.

ადამის მთელი მოდგმა ამ სენით დაავადდა და საღვთო დიდებისათვის განმზადებულმა თავი წარწყმედისთვის გაწირა.

ამიტომაც ვიყავით განშორებული ღვთისგან.

_ როგორ გვიხსნა ქრისტემ და რას ვზეიმობთ მისი აღდგომით?

ყველა ადამიანის სული, ადამის ცოდვის გამო, გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთს იმკვიდრებდა.

მამა ღმერთმა ჩვენს გამოსახსნელად მოავლინა თვისი მხოლოდშობილი ძე, რომელმაც მიიღო სრული ადამიანური ბუნება და თავის ჰიპოსტასში განუყოფლად და შეურევლად შეუერთა საღვთო ბუნებას, რითაც განაღმრთო კაცება.

იესო ქრისტემ ყოვლისმომცველი, მსხვერპლშეწირული სიყვარულის ძალით ბოროტების საკრეველნი დაამსხვრია, დაამხო ეშმაკის მეფობა, მართალთა სულები იქიდან ამოიყვანა და კაცობრიობისათვის ზეცის კარიბჭენი გახსნა.

დიახ, ამიერიდან მართალთათვის გარდაცვალება იქცა არა წარწყმედის, არამედ ცხონების, სიხარულისა და მარადიულ ნეტარებაში დამკვიდრების საშუალებად.

ამიტომაც წერია ფსალმუნში: “პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმინდათა მისთა” ამიტომაც აღნიშნავს ეკლესია წმინდანთა გარდაცვალების დღეს ზეიმით.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც რწმენით და სინანულით აღესრულება, უფლის მადლითა და მოწყალებით, წმინდათა შორის დაემკვიდრება (რა თქმა უნდა, სხვადასხვა სავანეში, თავისი ამქვეყნიური ღვაწლის შესაბამისად), ამიტომაც მოძღვარი წესის აგების ლოცვაში ასე ავედრებს უფალს გარდაცვლილს: “წმინდათა თანა განუსვენე, ქრისტე, მონასა (ან მხევალსა_ შენსა...”

სწორედ ეს აღთქმა, წმინდათა შორის მარადიული თანამყოფობისა, არის აღდგომის ზეიმის არსი, თითოეული ადამიანის იმედისა და სიხარულის საფუძველი.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს:

უფლის ჯვარცმისას იხილეს მრავალი სასწაული: დაბნელებული და ხელახლა გაბრწყინებული მზე, განპობილი კრეტსაბმელი, მაცხოვრის გვერდიდან გადმოღვრილი სისხლი და წყალი, მიწისძვრა, საფლავთაგან მკვდართა აღმოსვლა, სასწაული უფლის საფლავად დადების ჟამს... მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება ჩემი ცხონების სასწაულს!

ხოლო ვისაც ეს არა აქვს გაცნობიერებული, ფუჭია მისი სარწმუნოება. აი, როგორ გვაფრთხილებს მოციქული: “თუ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს მოსავნი, კაცთა შორის უსაწყალობესნი ვართ”... ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ამაოა ჩვენი ქმედება და ამაოა თქვენი რწმენა” (I.კორ. 15; 14, 19).

_ თუ სიკვდილი განქარდა, რატომღა კვდებიან ადამიანები, რატომ დარჩა გარდაცვალება ყველასათვის აუცილებელ მოვლენად?

სამოთხეში ადამს და ევას სხვაგვარი სხეულები ჰქონდათ, შემდეგ კი ხრწნადობა შეიმოსეს და მოკვდავნი გახდნენ. აქედან მოყოლებული ადამიანი ამ მოკვდავი სხეულისა და უკვდავი სულის ერთობას წარმოადგენს, რომელთა განცალკავებაც სიკვდილისთანავე ხდება.

მართალთა სულები ქრისტეს აღდგომის შემდეგ უფლის წიაღს იმკვიდრებენ, ცოდვით დამძიმებულთა კი, _ კვლავ ბნელეთის ანგელოზთა დასს უერთდებიან. სხეული კი იხრწნება და უერთდება მიწას, რომლისაგანაც შეიქმნა. როგორც მარცვალი ხნულში ითესება და იხრწნება, რათა აღდგეს უხრწნელებით, ასევე “ითესება სხეული მშვინვიერი და აღდგება სხეული სულიერი, ითესება დამცირებაში და აღდგება დიდებაში” (I.კორ. 15; 14, 45).

ეს მოხდება მეორედ მოსვლის ჟამს. ყოველი გარდაცვლილის სული (ცოდვილთა თუ მართალთა) შეიერთებს თავის უხრწნელ სხეულს.

ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი სული და სულიერი სხეული მარადიული ნეტარებისათვის აღდგეს და არა მარადიული სატანჯველისა და გეენიისათვის.

ზოგიერთს სიკვდილისადმი აქვს ერთგვარი ზერელე დამოკიდებულება, ზოგს კი _ ავადმყოფური შიში. ხშირად ერთნიც და მეორენიც ამიტომ არ ფიქრობენ ამ საკითხზე, რაც არ არის სწორი.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გარდაცვალება აუცილებლად გველის და ყოველი დღე უნდა გავატაროთ ისე, როგორც უკანასკნელი. მაშინ მეტი დაკვირვება გვექნება საკუთარ თავზე, მეტი გულისყურით მოვეპყრობით მოყვასს და ღვთის სათნოდ მოვიქცევით ამა თუ იმ ვითარებაში.

_ როგორ მივხვდეთ, რა არის მართებული ქმედება?

მთავარი ორიენტირი ჩვენთვის უნდა იყოს მაცხოვარი, რომლის მიერაც განგვეცხადა ადამიანის სიდიადე; უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყოველ ჩვენგანს, ზიარების მადლით, შეუძლია, ძალისამებრ თვისასა დაიტიოს იგი და შეუერთდეს მას, რათა განიღმრთოს და მიაღწიოს იმ სისრულეს, რისთვისაცაა მოწოდებული.

თუმცა, ეს შეერთება ვერ შედგება, თუ არ მოხდა პიროვნული შეხვედრა მაცხოვართან, _ შეხვედრა ცოცხალ ღმერთთან!

ეს არის ყველაზე დიდებული ჟამი ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებაში; ეს არის ჭეშმარიტ სიყვარულთან დაბრუნების და მისით აღვსების საოცარი განცდა, რომელიც სრულიად გარდაქმნის ჩვენს შინაგან სამყაროს და მადლით აღავსებს სულს.

არის მადლი მომხმობი, მომწოდებელი, რომელიც კაცს განაცდევინებს სასუფევლის ნეტარებას და სინანულისთვის განაწყობს. მერე კი იწყება გამოცდის ჟამი, ანუ ის ეტაპი, როდესაც შენ შენი შრომით, სინანულითა და ჭირთა დათმენით უნდა ააღორძინო და განამრავლო იგი.

ღმერთი ყველგან სუფევს, მაგრამ ეკლესიაა სულიერი სხეული მისი, სადაც საღვთო სიდიადე სრულად ვლინდება კაცთა წინაშე. ეს არის ის სივრცე, სადაც აღესრულება საღვთო საიდუმლოებები, სადაც ყოველ წირვაზე უხილავად მყოფობს უფალი და წმინდა ზიარებით მასთან შეერთების საშუალებას გვაძლევს.

მაგრამ ღმერთთან კავშირი ორმხრივი მოვლენაა, შენ ვერ ჰპოვებ უფალს, თუ არ შეიცანი იგი, თუ არ აღივსე ღვთისმსგავსი უშურველი სიყვარულით.

ასეთი სიყვარულის უნარი ადამიანს აქვს და იგი ვლინდება მაგალითად, შვილების, მშობლების, მეუღლის, დედ-მამიშვილების, მეგობრებისა და ახლობლებისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და საჭირო შემთხვევაში, თავგანწირვაშიც.

ამგვარი სიყვარულით, პირველ რიგში, უნდა შევიყვაროთ იესო ქრისტე, რომლისგანაც მოგვეცა ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მასზე წინ არ უნდა დავაყენოთ არავინ და არაფერი. ეს არის ყოვლად აუცილებელი პირობა ჩვენი გადარჩენისა; წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი შეცდომებისა და არასწორი აზროვნებისაგან არაფერი დაგვიცავს.

ხოლო ვისაც ამგვარი განცდა და ცოცხალი სარწმუნოება არა აქვს, მისთვის საეკლესიო მსახურება, უფლის სწავლანი და საიდულოებები გაუბრალოებულია, მხოლოდ რიტუალია და სიღრმისეულ აზრს მოკლებული სიტყვები. ამ მდგომარეობაში შეიძლება იყოს როგორც მრევლის წევრი, ისე სასულიერო პირი.

ამგვარი ადამიანის აღსარება და სინანული არაგულწრფელია, შედეგი _ უღირსი ზიარება და სულის გაუხეშებაა. ეს არის ნელ-თბილი სარწმუნოება, რომელიც მეტად საშიშია და მიუღებელი ღვთისთვის.

სინანულს ბერძნულად “მეტანია” ჰქვია, რაც სიტყვა-სიტყვით თარგმანში “გონების შეცვლას” ნიშნავს. აი, ეს უნდა მოხდეს ჩვენში! მაგრამ ამას კი ვერ მივაღწევთ, თუ მუდმივად არ ვაკვირდებით საკუთარ თავს, თუ აღსარებიდან აღსარებამდე ჩვენში უკეთესობისაკენ მცირედი ცვლილება მაინც არ ხდება, თუ ცოდვას არ ვუპირისპირდებით და არ ვებრძვით.

ზოგიერთი ეშმაკის გავლენით, პატივმოყვარეობის ან სირცხვილის გამო, ბოლომდე არ აღიარებს ცოდვას, ან შელამაზებული სახით ამბობს სათქმელს და ამით ხელს უშლის საკუთარ განწმენდას.

ამ დროს პირიქითაა, მძიმე დანაშაულის ჩამდენის გულწრფელი სინანული სასულიერო პირს მისადმი თანალმობით განაწყობს და სწორი რჩევის მიცემის საშუალებას აძლევს, ადამიანს კი უფალი წყალობას მაშინვე ანიჭებს. დიდ პრობლემას ჰქმნის ორიენტირების აღრევაც, _ როდესაც ზოგიერთი საშუალებას მიზნად მიიჩნევს, მიზანს კი _ საშუალებად.

საერთოდაც, ბევრი რამ არის ჩვენს ყოფაში გაუკუღმართებული: ხშირად ადამიანის სიცოცხლეს იოლად ხელყოფენ, არადა, ადამიანის მკვლელობა უდიდესი ცოდვაა. უფლება არა გვაქვს, ღვთის მიერ ბოძებული სიცოცხლე წავართვათ ვინმეს.

ასევე უმძიმესი და მკვლელობის ტოლფასი ცოდვაა აბორტი. ამ მომაკვდინებელი დანაშაულის ჩამდენნი არა მხოლოდ მშობლები არიან, არამედ ისინიც, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ამ ქმედებაში.

დიდად ვწუხვართ თვითმკვლელთა რიცხვის ზრდის გამო. სიცოცხლე ღვთის უდიდესი წყალობაა და დაუშვებელია, ვინმემ თავისი ნებით მოისწრაფოს იგი. ამ ცოდვის ჩამდენთ ტყუილად ჰგონიათ, რომ სიკვდილით პრობლემებისგან გათავისუფლდებიან და ვერ აცნობიერებენ, რომ თავს მარადიული სატანჯველისთვის სწირავენ.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი შრომას გადაეჩვია. არადა, შრომა აუცილებელია როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი და სულიერი.

მშობლებმა ბავშვობიდანვე უნდა შეაყვარონ შვილებს ეს საქმე. ამასთან, უნდა აღზარდონ ისე, რომ ღვთის სიყვარულთან ერთად სამშობლოს და მოყვასის სიყვარული ასწავლონ. ასწავლონ სირთულეების დაძლევა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

ჩვენ დიდი იმედით ვუყურებთ ახალგაზრდებს. მართალია, მრავალი მათგანი სერიოზულ შეცდომებს უშვებს ემონება რა ნარკომანიას, ლოთობას, გარყვნილებას... მაგრამ გვჯერა, ღვთის მადლით, ისინი შეიცნობენ ამ ცოდვათა დამღუპველობას და ღმერთს დაუბრუნდებიან; მიხვდებიან, ცხოვრებისეული ჯვარი იმიტომ მოგვეცა, რომ იგი რწმენითა და სიყვარულით ღირსეულად ვატაროთ და ჩვენი ჯვარცმა _ განსაცდელები და პრობლემები _ ჩვენს აღდგომად და ამაღლებად გადავაქციოთ.

არასწორმა ცხოვრების წესმა დაარღვია ტრადიციული ურთიერთობებიც. მაგალითად, ქართული სუფრა ყოველთვის იყო სამშობლოს, მეგობრობის, სიყვარულის, თანადგომის, ვაჟკაცობის სადიდებელი, ჭირის სუფრა კი, _ გარდაცვლილთა მოსაგონარი და შესანდობარი.

როგორც ერთი, ისე მეორე სერობა იწყებოდა და მთავრდებოდა ღვთის დიდებით. ახლა კი, ასეთი შეკრებები ხშირად დაუსრულებელ ქეიფად და ღრეობად იქცა, სადღეგრძ-

"რამდენადაც რთულია ლექსიკონის შედგენა, იმდენად მარტივია მისი გაკრიტიკება"

ენის სიწმინდის დაცვა ოდითგანვე ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა ქართული საზოგადოებისთვის. ამ საქმეში მეცნიერებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ მკვლევარები, მოგზაურები, საზოგადო მოღვაწეები. სალიტერატურო ენის შესწავლა სრულყოფილი ვერ იქნებოდა ქართველურ ენათა და ქართული ენის დიალექტთა მონაცემების გაუთვალისწინებლად. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა პეტერბურგის უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩამოყალიბებულმა სტუდენტთა სამეცნიერო წრემ დაიწყო, რამაც მომდევნო წლებში ნაყოფიერი შედეგი გამოიღო და ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ქართველური ენების შესწავლის რთულ, საპასუხისმგებლო საქმეს რომ დღემდე ჯეროვანი ყურადღება ექცევა, ამაში მიმდინარე წლის 14 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხუთენოვანი ლექსიკონის პრეზენტაციაზე ყოფნისას დავრწმუნდით.

ხვლიკისფერი კედლები მდუმარედ მეტყველებდნენ იმ წლებზე, რაც ქვეყნის აღორძინებისთვის გალიეს დიდებულმა ქართველმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა... აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, ბესარიონ ნიჟარაძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია _ ეს იმ ადამიანების არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც სათანადო ნიადაგი მოამზადეს ქართველოლოგიური კვლევა-ძიებისათვის.

სხვა როდის, თუ არა ქართული ენის დღეს უნდა მომხდარიყო ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონის ფართო საზოგადოებისთვის, კომპეტენტური წრეებისათვის გაცნობა და ასეც მოხდა.

შეხვედრა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ გახსნა. მან მოკლედ ისაუბრა წინამდებარე გამოცემის მნიშვნელობაზე და გაწეული შრომისთვის მადლობა მოახსენა მთელ შემოქმედებით ჯგუფს, ლექსიკონის შემდგენლებს, ბატონ რამაზ ქურდაძეს, ქალბატონებს: დოდო შონიას, ლილე თანდილავას, ლელა ნიჟარაძეს.

დამსწრეთა წინაშე წარსდგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ვლადიმერ პაპავა, რომელმაც რექტორის სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებით გამოვლენილი სტიპენდიანტი დაასახელა და ანა სიმონიშვილს რექტორის ხელფასიდან ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველთვიური სტიპენდიის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი გადასცა.

იდეის ავტორმა და პროექტის ხელმძღვანელმა, ბატონმა რამაზ ქურდაძემ მოკრძალებული მადლობა უძღვნა შეკრებილთ და მომავალში უფრო ვრცელი, მასშტაბური სახელმძღვანელოს გამოცემას დაჰპირდა მათ.

"რამდენადაც რთულია ლექსიკონის შედგენა, იმდენად მარტივია მისი გაკრიტიკება გარეშე პირის მიერ. ის ენერგია, რაც თქვენ ამ საქმის ხორცშესხმაში ჩადეთ, დამერწმუნეთ, დიდად წაადგება მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესის დაკმაყოფილებას როგორც ჩვენში, ასევე, უცხოეთში". _ აღნიშნა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები: დამანა მელიქიშვილი, მანანა თანდაშვილი, ალექსანდრე კარტოზია, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, ასევე შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება ბატონი გიუნტერ ბეხლერი და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის რეგიონული დირექტორი რუდოლფ შოხი.

ხუთენოვანი ლექსიკონი, რომელიც სამხრეთ კავკასიის ოთხი მონათესავე ენის 6000-მდე ლექსიკური ერთეულის ინგლისურ თარგმანს მოიცავს, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე მომზადდა და გამოიცა სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.

ეკა ბაბალე

ელოები კი _ ფარისევლურ ქებადიდებად, რაც უნდა გამოსწორდეს.

რაკი ღვინისა და საერთოდ, პურობის საკითხს შევეხეთ, აღვნიშნავთ იმასაც, რომ საუკუნეების მანძილზე მევენახეობა და მეხორბლეობა ჩვენი ყოფის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა. ქართველი კაცი მასში განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც დებდა და ზიარების საიდუმლოს აღსასრულებელ შესაწირად აღიქვამდა. ამიტომაც ამ კულტურებზე ზრუნვა საუფლო საქმედ მიიჩნეოდა.

ათეისტური რეჟიმის დროს ეს დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა, _ უნიკლაური ქართული ხორბლის და სავენახე (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსა და მესხეთ-ჯავახეთში) ჯიშები ზოგი მთლიანად, ზოგი ნაწილობრივ განადგურდა და მათი ადგილი ჰიბრიდულმა, ნაკლებად შრომატევადმა ჯიშებმა დაიკავა. ამას დაემატა ღვინის შაქრით ფალსიფიცირება, რაც ადრე ყოვლად წარმოუდგენელი რამ იყო. ასე შეილახა და გაუბრალოვდა საკრალური დატვირთვის მქონე ვენახისა და ხორბლის მნიშვნელობა.

საჭიროა, შევიცვალოთ დამოკიდებულება და სწორ ორიენტირებს დავუბრუნდეთ. მადლობა ღმერთს, დღეს მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება და ამაში გულანთებული უანგარო ადამიანების დიდი ღვაწლია ჩადებული.

მინდა ყურადღება გავამახვილო ცოდვისადმი ადამიანის ნელ-თბილი დამოკიდებულების რამდენიმე გამოვლინებაზე:

ვიღაცას ჰგონია, რომ როცა სხვას შეურაცხყოფს, ან ცილს დასწამებს, უმიზეზოდ განურისხდება, ან ბილწსიტყვაობით აჯობებს, ეს დიდი ცოდვა არ არის, _ მწარედ ცდებიან.

თუ გავაანალიზებთ, აღმოვაჩენთ, რომ მკვლელობებისა და თვითმკვლელობების ძირითადი მიზეზი არის ვიღაცის გაბოროტებული სიტყვა. ხშირად ოჯახებიც შელაპარაკების ნიადაგზე ინგრევა; უხეში სიტყვის გამოყენების პრაქტიკამ ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მასმედიაში...

სიტყვა უდიდესი ძალაა. ღმერთი არის სიტყვა, ხოლო ავი სიტყვა ეშმაკისეული გამოვლინებაა. თითოეული ჩვენი ნათქვამი ბუმერანგივით დაგვბრუნდება. შეგახსენებთ მაცხოვრის დარიგებას: "მე გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას (ანუ მოყვასს), სამართალში უნდა მიეცეს, ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას: რაკა (უგუნურო), სინედრიონის (სამსჯავროს) უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის თავის ძმას: შლეგო (ცოფო, უსინდისო), ცეცხლის გეენიაში უნდა ჩავარდეს (მათე. 5,22).

იაკობ მოციქული კი გვაფრთხილებს: "პატარა ცეცხლი რამხელა ტყეს ჰბუგავს, ენას ცეცხლია, სიცრუის სამკაული. ენას ისეთი ადგილი უჭირავს ჩვენს ასოთა შორის, ბილწავს მთელ სხეულს და ცეცხლად აქცევს სიცოცხლის ჩარხს" (იაკობ. 3, 5-6).

ამიტომაც მეტყველებისას ყველას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გვამრთებს.

შევეხები მეტად საშიშ და სერიოზულ პრობლემას, _ სათამაშო ბიზნესს. ეს საქმიანობა, მართალია, ბიუჯეტისთვის ალბათ, მომგებიანია, მაგრამ იგი იმდენად უარყოფითი მოვლენაა, რომ ბევრ ქვეყანაში საერთოდ აკრძალულია. ჩვენთან კი მას ბოლო დროს ინტერნეტ-სამორინეც (კაზინო) დაემატა.

თუ ჩვეულებრივ სამორინეში (კაზინოში) ასაკს ყურადღებას აქცევენ და გარკვეული თანხის ქონა აუცილებელია, ინტერნეტ-სივრცეში ეს შეზღუდვა არ არსებობს; ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები რომელთაც ისედაც მცირე ფინანსები აქვთ, ცდუნებას ვერ უმკლავდებიან და დიდ ვალში და დიდ პრობლემებში ვარდებიან.

კატასტროფულად იზრდება მათი რიცხვი, რომელნიც მიჯაჭვულნი გახდნენ ამ საცდურზე; ბევრმა ქონება დაკარგა, მრავალი ოჯახი დაინგრა, ზოგმა თავიც მოიკლა...

ვფიქრობ, ხელისუფლებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ მიმართულებით და შესაძლებლობისამებრ დაიცვას ქვეყნის აწმყო და მომავალი.

აქამდე იმათ შესახებ ვისაუბრეთ, რომელთაც ღმერთის არსებობა სწამთ; რაც შეეხება ურწმუნოთ, ადრეც მითქვამს და კვლავ გავიმეორებ, რომ მატერიალურ-ტექნიკურმა წინსვლამ და სულიერ განვითარებაზე ნაკლებმა ზრუნვამ დიდად შეუწყო ხელი ადამიანში ამპარტავნების აღზევებასა და ათეისტური ცნობიერების ჩამოყალიბებას, იმ აზრის განმტკიცებას, თითქოს მისთვის საიდუმლო აღარ არსებობს, რომ თვითონ შეუძლია ყველაფერი მართოს და განაგოს.

მაგრამ უღმერთო კაცმა დღემდე ვერ იპოვა უმთავრესი _ სიცოცხლის საზრისი, და ვერც სიკვიდლის საიდუმლო ამოხსნა. აქედან გამომდინარე ცუდი და კარგი, ცოდვა და მადლი, მისთვის ფართობითი და პირობითი ცნებები გახდა. ამიტომაც ასე მოაზროვნე საზოგადოება ადვილად მივიდა ცოდვის და გაუკუღმართებული ურთიერთობების დაკანონებამდე.

მართლაც, თუ არ არსებობს ღმერთი, რა თქმა უნდა, არ არსებობს არაფერი მიუღებელი, არ არსებობს არანაირი სულიერი მიზანი, რომლისკენაც იგი უნდა ისწრაფვოდეს, ანუ სიცოცხლეს ფაქტობრივად, არ აქვს აზრი.

რჩება მხოლოდ წარმავალი მიწიერი ყოფა და ამქვეყნიური ვნებები, სიმდიდრითა და პატივით მიღებული დროებითი სიამოვნება, რომლის შედეგი სასოწარკვეთა და დეგრადაციაა, დასასრული კი _ არარაობა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქვეცნობიერად ყველამ, მორწმუნემაც და ურწმუნომაც მეტ-ნაკლებად იცის, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე მაინც გრძელდება. ამას იგი გრძნობს იმ წარუშლელი ღვთიური ნაპერწკლით, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია ჩადებული შემოქმედისაგან და რომლის საშუალებითაც სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე რჩება შესაძლებლობა სინანულის, მოქცევისა და ღმერთთან შერიგებისა.

გავიხსენოთ ავაზაკი, რომელმაც სულიერი ფერისცვალება სიკვდილის წინ, ჯვარზე გაკრულმა, განიცადა და მაშინვე ღირსი გახდა, პირველი შესულიყო სასუფეველში. ჩვენ ვცხოვრობთ რელიგიური აზროვნებისა და იდეოლოგიების ზეობის ეპოქაში.

როგორც ერთ-ერთი ცნობილი თეოლოგი ამბობს, რელიგიასა და იდეოლოგიას შორის უდიდესი განსხვავება იმაშია, რომ რელიგია და რწმენა ყოველთვის ძალზედ პირადულია და ღრმა შინაგანი გამოცდილებით მიიღწევა, მაშინ როცა ნებისმიერი იდეოლოგია ყოველგვარ პირადს, როგორც უსარგებლოს, უარყოფს. ამიტომაც არის, რომ არც ძველი და არც რომელიმე თანამედროვე იდეოლოგია, პიროვნების იდეას არ სცნობს.

ადამიანი ყველაფერზე მაღლა იესო ქრისტემ დააყენა და იგი გახადა თავისი უდიდესი სიყვარულის ობიექტი. ამასთან, ადამიანს მან უდიდესი ნიჭი _ თავისუფლება უბოძა და მისცა არჩევანის საშუალება. თითოეული ჩვენგანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად დღესაც ყოველწუთს აკეთებს არჩევანს კეთილსა და ბოროტს, ღმერთსა და ეშმაკს შორის და ეს ჩვენი უფლებაა.

ჩვენი ნება ღვთის ნების შესაბამისი უნდა გახდეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ასე ვინმემ გვიბრძანა, არამედ იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენს დიდ სურვილად და სწრაფვად უნდა იქცეს; იმიტომ, რომ ჩვენ მოვინდომეთ, გავხდით ადამიანები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, უდიებო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, იეზიდნო, ქისტნო, ასირიელნო, სხვანო ყოველნო, ჩვენ ყველანი ხატად და მსგავსად ღვთისა ვართ შეძნილნი და თითოეული ჩვენგანის სულშია ის ღვთაბერივი ნაპერწკალი, რომელიც დღეს ღაღადებს, _ ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

მართლაც, ყველასთვის აღდგა ქრისტე, ყველა ადამიანს შეუძლია შეცვლა და ფერისცვალება, რადგან, როგორც წმ. ირინეოს ლიონელი ბრძანებს, ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია.

მაშ, ვმადლობდეთ უფალს, რომელიც სიხარულით შეგვიძღვა თავისი აღდგომის ნათსაყუდელში, ვმადლობდეთ ყოველნი, რომელთაც კეთილად განვლეთ სარბიელი მარხვისა; ვმადლობდეთ ისინიც, რომელნიც უძლურ ვიქმენით ამგვარი ღვაწლისა (სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი). ამიერიდან ნუღარავინ ჰძრწის და ეშინის, ჭეშმარიტი სიყვარული და მარადიული სიცოცხლე დაუბრუნდა კაცობრიობას; იხარებს ადამის მოდგა და მთელი სამყარო!

ქრისტე აღდგა!

აღსდექით თქვენც და მასთან ერთად ეგეთ უკუნისამდე!

სიყვარულით თქვენთვის
მლოცველი ილია II
აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2015 წელი.

„გვაქვს ოთხი ბევრის მიღწევის ამბიცია და ლაბორატორია ვაძლევ, ყველაფერს შევძლებთ“

***XIX** საუკუნეში, საქართველოში უნივერსიტეტის არსებობის შესახებ დაბადებულ იდეას, 1918 წელს შეესხა ფრთები. აღსრულდა ნება ღვთისა და კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი გაიხსნა. მას შემდეგ "ბევრმა წყალმა" ჩაიარა, ბევრიც შეიცვალა, მაგრამ ის ძირითადი დევიზი, რაც სასწავლებელს დასაბამიდან მოსდევამდა, უცვლელი დარჩა. პეტრე მელიქიშვილი მრავალთა წინამორბედად იქცა. მათშიც იყნენ გამორჩეულები, ისეთები, ვისაც უყვარდა უნივერსიტეტი და არა საკუთარი თავი ამ უნივერსიტეტში. ნიკოლოზ კეცხოველი, ილია ვეკუა, ვიქტორ კუბრაძე, ევგენი ხარაძე... შორს წაგვიყვანს იმ სახელთა ჩამონათვალი, წარმატებულ რექტორებად რომ ახსოვთ თანამედროვეებს, სტუდენტებს, საქართველოს ისტორიას.*

ჩვენი რესპონდენტი ის მეცნიერია, რომელიც სტუდენტობიდანვე შეღერებული იყო დიდი მომავლისთვის და მიაღწია კიდეც ამას. 1977 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტის დასრულებისთანავე მივიდა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში და დაუღალავი მუშაობის შედეგად, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის პოსტიდან დაწყებული, ყველა თანამდებობრივი საფეხურის გავლით, 1991 წელს ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს. შემდეგ იყო დიდი პოლიტიკა. 1994-2000 წლებში ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მისული ქვეყნის ეკონომიკის მინისტრობა, მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილედ გატარებული ერთი წელი, შემდეგ პარლამენტი და დღეს... სამეცნიერო-ეროვნული თანამშრომლობა, რომ წარმოშობით ჩვენებური, დიდი ტრადიციების მქონე, სამაგალითო ოჯახის შთამომავალი ხელმძღვანელობს საქართველოს დედა უნივერსიტეტს.

რუბრიკაში "145 წლის სამეცნიერო" 1991-1996 წლებში პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, 350-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორს, მრავალი საერთაშორისო ასოციაციის, აკადემიის, საზოგადოების წევრს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ვლადიმერ (ლადო) პაპავას ვმასპინძლობთ.

_ ბატონო ლადო, გთხოვთ გვესაუბროთ ჩვენს ქალაქთან, თქვენი კავშირის შესახებ...

_ თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ მამაჩემი, გიორგი პაპავა და ბაბუა, ვის სახელსაც ვატარებ სამეცნიერო სამეცნიერო დაბადებულები გახლდნენ. შემიძლია გითხრათ ქალაქის ისტორიისა და ჩემი ოჯახისათვის ერთი მნიშვნელოვანი, დღემდე საამაყო ფაქტი: პირველი რესპუბლიკის დროს, 1918-21 წლებში, ბაბუაჩემი, ვლადიმერ (ლადო) პაპავა იყო სამეცნიერო პრეფექტი. მამაჩემის დაბადებიდან მალე, ის დედმამიშვილებთან ერთად გადმოსახლდა თბილისში და აქ დამკვიდრდა. მიუხედავად ამისა, ვიცი, რომ ჩემი შტოს ყველაზე ახლო ფესვები სამეცნიერო-პედაგოგიურ სამეცნიერო-თანამშრომლობასთანაა დაკავშირებული.

_ 1994-2008 წლებში აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდით, იყავით საქართველოს ეკონომიკის მინისტრიც. დღეს დიამეტრალურად განსხვავებული რეალობით ცხოვრობთ. მეტ წილად რომელ თანამდებობრივ საფეხურზე მოახერხეთ თქვენი შესაძლებლობების რეალიზება?

_ იცით, არც ისე მარტივია ამის ცალსახად გამოყოფა. ყველა საფეხურს თავისი საინტერესო მხარე ჰქონდა, მაგრამ ერთი რამ, რისი თქმაც ეჭვშეუტანლად შემიძლია, არის ის, რომ დღევანდელი თანამდებობა, ურთულესია იმ სამსახურთა შორის, სადაც კი ამ ხნის მანძილზე ვყოფილვარ. ზემოაღნიშნული გულისხმობს კომპლექსურ მუშაობას. გქონდეს კავშირი ხალხის დიდ მასასთან და მათი უმრავლესობა იყოს ახალგაზრდა, დამერწმუნეთ, მინისტრობის ყოველგვარ სიძნელეს აჭარბებს. აქ არის უამრავი გამოწვევა, რაც რამდენადმე უფრო საინტერესოს ხდის მას. მიუხედავად ყველაფრისა ხელისუფლებაში ყოფნასაც ჰქონდა ბევრი დადებითი მხარე, მეამაყება, რომ ჩემი მინისტრობისას ქვეყანამ მიაღწია მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, მიმოქცევაში შემოღებულ იქნა ფულის ერთეული _ ლარი, რაშიც მცირე წვლილი მეც მიმიძღვის.

_ რამდენად რთული, საპასუხისმგებლო იყო თქვენთვის მელიქიშვილის, ჯავახიშვილის, ვეკუას, ხარაძის და სხვათა გაკვალულ გზაზე მართვის სადავეების აღება?

_ ვინაიდან უნივერსიტეტის რექტორთა სიაში რიგით 28-ე ადგილს ვიკავებ, თქვენ მიერ ჩამოთვლილი ბუმბერაზი მეცნიერებიდან, არც ერთის დაწყებული საქმის პირდაპირ, უშუალო გამგრძელებლად არ მოვიაზრები, თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ პასუხისმგებლობა განუზომელია, რამეთუ ვაცნობიერებ, რომ ჩვენი უნივერსიტეტით იწყება საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის დანერგვა და განვითარება. რაც შეეხება გაკვალულ გზას, იგი ერთმნიშვნელოვნად მარტივი არ არის. იმ ეტაპზე, როცა მე მომიწია რექტორობა, გარკვეულ მიზეზთა გამო, ეს "კვალი" ცოტა სხვა მიმართულებით იყო წასული. ხშირად ისეთი პრობლემების მოგვარებაც გვიწევს, რომელიც საფიქრალიც არ უნდა იყოს. გიორგი ხუბუას რექტორობის მრუდ მიმართულებებს დღემდე ვასწორებთ. რაც შეეხება სანდრო კვიტაშვილს, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მძიმე პერიოდში უნივერსიტეტს სტაბილურობა შეუნარჩუნა.

_ 1970-იან წლებში, როცა თავად ბრძანდებოდით უნივერსიტეტის სტუდენტი, რა სურვილები გამოძრავებდათ სასწავლებლის განვითარების მხრივ?

_ იცით, ჩვენს დროს სამოცდაათიანი წლების ახალგაზრდობისთვის, განათლების არსებითად განსხვავებული სისტემა იყო; მე სტუდენტი გავხდი 1972 წელს და დავამთავრე 1977-ში. ეს ის პერიოდია, როცა სასწავლო გეგმები მტკიცდებოდა მოსკოვში, "სტუდენტური დამოუკიდებლობა" კი ყველასთვის უცხო ხილს წარმოადგენდა. ჩემი უმთავრესი ამოცანა იყო, ცხოვრება მეცნიერებისთვის მიმეძღვნა და ამისთვის იმთავითვე ჩართული ვიყავი სამეცნიერო აქტივობებში.

_ ბატონო ლადო, თქვენი რექტორად არჩევიდან დღემდე, რომელ მნიშვნელოვან მიღწევებს, ცვლილებებს გამოყოფთ, რას გეგმავთ სამომავლოდ?

_ არის გარკვეული ცვლილებები, რომელიც წინგადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია. უწინარესად ვიტყვი, რომ მეცნიერების ორი დარგი კვლავ წამოვწიეთ წინა პლანზე. ფსიქოლოგიასა და პოედაგოგიურ მეცნიერებებს საკმაოდ სერიოზული ზიანი მიადგა წინა ხელისუფლების მმართველობისას. ამიტომ ჩვენი ინიციატივით ეს ფაკულტეტები აღდგა და ვიმედოვნებთ წლევანდელი, პირველი მიღებით ამ კუთხით დასახული მიზნები წარმატებით განხორციელდება.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში ჩვენ შემოვიღეთ აბსოლუტურად ახალი ინსტიტუტი _ პოსტდოქტორანტურა. ეს გულისხმობს შემდეგს: ახალგაზრდებს, რომელთაც სურთ სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მუშაობა გაგრძელონ მეცნიერებაში, ჩვენ შევთავაზეთ მსოფლიო საუნივერსიტეტო პრაქტიკაში არსებული სტანდარტული მოდელი. ისინი დაფინანსდებიან უნივერსიტეტის მიერ, გამოვაცხადეთ კონკურსი და უკვე საუკეთესო დოქტორის ხარისხის ადამიანებთან დავდეთ კონტრაქტი, რომ მათ სამეცნიერო მუშაობა განაგრძონ უნივერსიტეტში. გვყავს ამ პროექტის მონაწილე ხუთი პოსტდოქტორანტი.

დავიწყეთ ფართომასშტაბიანი საქმიანობა სახელმძღვანელოების თარგმნასთან დაკავშირებით. არის საგნები, რომლისთვისაც ქართველ ავტორებს შექმნილი აქვთ შესანიშნავი ნაშრომები, მაგრამ მეცნიერებაში იმდენად განსხვავებული, ახალ-ახალი მიმართულებებია, რომ ჩვენ ყველა დარგში ასეთი დონის კვლევები არ გაგვაჩნია. საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ამ ობიექტური ჩამორჩენის დასაძლევად, პრიორიტეტად ჩავთვალეთ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში დანერგილი სახელმძღვანელოები ვთარგმნოთ ქართულად და ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი სტუდენტებისთვის. ამის შემდეგ ისინი თბილისში, მშობლიურ ენაზე ისწავლიან იმ წიგნებით, რომლებითაც სწავლობენ მსგავსი ფაკულტეტის სტუდენტები, თუნდაც, ჰარვარდის, კემბრიჯის ან ოქსფორდის უნივერსიტეტებში.

ბუნებრივია, მეცნიერება წარმატებული ვერ იქნება, თუ არ ვებრძოლეთ სხვადასხვა სიმახინჯეს, ეს არის აკადემიური ეთიკის დარღვევა, მაგალითად, პლაგიატი _ როცა ერთი მეცნიერი წერს რაღაც ნაშრომს და პირწმინდად იყენებს სხვის პუბლიკაციას, პრაქტიკულად კი გადაიწერს მას. ამის კონტროლი ქვეყნის მასშტაბით არ არსებობს, ჩვენ შევქმენით შიგა საუნივერსიტეტო რეგულაცია, რომელიც დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ და შემდეგ სენატმა. განსაზღვრულია სპეციალური პროცედურა, თუ რომელიმე მუშაკის მიმართ აღიძვრება ეჭვი და შემოვა შესაბამისი საჩივარი, შეიქმნება კომისია, რომელიც შეისწავლის ამა თუ იმ ფაქტს. მინდა გითხრათ, რომ ამგვარი დარღვევის გამო ერთი პროფესორი გავუშვით სამსახურიდან. ჩვენ გვსურს მეცნიერებაში ეთიკური სტანდარტი დავიცვათ და პლაგიატორები მოვაშოროთ უნივერსიტეტს.

კიდევ ერთი, ჩემი რექტორად არჩევისას თსუ საქართველოში ფინანსურად ყველაზე გაუმჭვირვალე სასწავლებელთა რიგებში იყო. მუშაობის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ უნივერსიტეტი გავიდა მე-3 ადგილზე გამჭვირვალეობის 89 პროცენტიანი მონაცემით. ეს ყველაფერი არ წარმოადგენს ჩვენთვის დამაკმაყოფილებელ რეალობას, გვაქვს უფრო ბევრის მიღწევის ამბიცია და დარწმუნებული ვარ ამ ყველაფერს უსათუოდ შევძლებთ!

_ დატვირთული საზოგადოებრივი ცხოვრების მიუხედავად, რამდენად ახერხებთ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზს, როგორ შეაფასებთ მას?

_ ვინაიდან მართლაც ძალიან დაკავებული ვარ, ანალიზს ძნელად ვატარებ. მიუხედავად ამისა, ყოველთვის ვცდილობ, საქმის კურსში ვიყო, თუ რა ხდება ქვეყანაში. ეს მე მაინტერესებს პროფესიულად, როგორც ეკონომისტს და როგორც მოქალაქეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულფასოვნად ამ პროცესებში ჩართული ვერ ვარ. ზოგადად კი გეტყვით, რომ გარკვეულ საკითხებში სიტუაცია გაუმჯობესდა, მაგრამ რაც შეეხება საერთო ვითარებას, არაორიგინალურად ვიტყვი, რომ ის ერთმნიშვნელოვანი არ არის. დაწყებული სამართლებრივი საკითხებიდან დამთავრებული ეკონომიკით, პროცესები საკმაოდ რთულია, ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანიც. შემიძლია, მეტად ვრცლად ვისაუბრო ამ ყველაფერზე, მაგრამ თავს შევიკავებ, რადგანაც ჩემს უკან უნივერსიტეტია და არ მინდა მას ვავნო.

_ გვეამაყება იმ მოღვაწეთა სახელები, რომლებმაც ეპოქა შექმნეს უნივერსიტეტის ისტორიაში. მათგან ქალბატონები: მარიკა ლორთქიფანიძე და მზექალა შანიძე დღემდე იღვწიან სამეცნიერო კუთხით. რა მზარდაჭერა აქვთ მათ უნივერსიტეტისგან?

_ იცით, საბედნიეროდ, მრავლად არიან მსგავსი მოღვაწეები. მათი ნაწილი ემერიტუსია, ზოგი მოქმედი პროფესორი, აი, თქვენ მიერ დასახელებული ქალბატონები კი რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან. უნივერსიტეტი ყოველმხრივ ცდილობს მათ მხარდაჭერას. ისინი დღესაც აქტიურად მუშაობენ, წერენ, აქვეყნებენ ნაშრომებს, რაშიც გვინდა, რომ მუდამ გრძნობდნენ ჩვენს გვერდში დგომას.

_ წლეულს, 75 წელი სრულდება ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან, როგორ გამოეხმაურება ამ ფაქტს მისივე სახელობის უნივერსიტეტი?

_ ცხადია, ეს თარიღი უყურადღებოდ არ დაგვრჩება. ჩატარდება სამეცნიერო სესია, ბიბლიოთეკაში გამოიფინება წიგნები და უნივერსიტეტის პანთეონში მის საფლავს სათანადო პატივს მივაგებთ. მაგრამ გაისისთვის, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის საიუბილეო დღეებს ბევრად უფრო მასშტაბური სახე მიეცემა. ვგეგმავთ მრავალ საინტერესო ღონისძიებას, რაც დროთა განმავლობაში საზოგადოებისთვისაც გახდება ცნობილი.

_ კვლავ სამეცნიერო დავუბრუნდეთ, 145 წლის იუბილარ ქალაქს როგორ მიულოცავთ ამ თარიღს, რას უსურვებთ თანამემამულეებს?

_ გილოცავთ ღირსეულ იუბილეს, პირველ რიგში, წარმატებები არ მოგკლებოდეთ! ვიცი, რომ ქალაქში ეკონომიკურად რთული მდგომარეობაა და რაიონის მკვიდრთა დასაქმების ძირითად ობიექტს რკინიგზა წარმოადგენს. ვისურვებდი, სამეცნიერო ჩვენი ეკონომიკის სხვადასხვა დარგი უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი, რაღა თქმა უნდა, კვლავ ქალაქის საკეთილდღეოდ!

ეროს პაპავა

თარიღი

დედა უნივერსიტეტის მესაძირკვლე



განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გამოჩენილ ქართველ მამულიშვილთა კოპორტაში ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე ჯავახიშვილს.

განუზომელია მეცნიერის წვლილი საქართველოს ისტორიის კვლევის, ახალგაზრდა მეცნიერთა, სტუდენტთა პროფესიული დაოსტატებისა და აღზრდის საქმეში.

ფასდაუდებელია დიდი ერისკაცის დამსახურება საქართველოს დედა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში, რითაც აღსრულდა გამოჩენილ მამულიშვილთა სანუკვარი ოცნება (1918 წლის 8 თებერვალი).

მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში რომ შევიდოდა, დიდი ივანე ჯავახიშვილი მოწიწებით იხდიდა თურმე ქუდს.

შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, 64 წლისა აღესრულა მეცნიერი, აუნაზღაურებელი გახლდათ ქართული საზოგადოებისათვის მისი მოულოდნელი გარდაცვალება.

ძვირფასო მასწავლებელო, სახელოვანო მეცნიერო დიდო ივანევ!

"შენ არაჩვეულებრივი მოვლენა იყავ ჩვენს ცხოვრებაში, შენში თანაბრად შეზავებული იყო ბუნება დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანისა. შენ დიდი იყავ, ბუმბერაზი იყავ იშვიათი ნიჭით, გონების გამჭრიახობით, მრავალმხრივი ცოდნით, ენერგიული შრომით, ფართო საქმიანობით, მოვალეობის შეგნებით, მაგრამ ამასთან ერთად შენ გამკობდა გამშვენებდა ბუნებრივი უბრალოება და მეტისმეტი თავმდაბლობა, რომელიც ეგრე ხიბლავდა ყველას, ვისაც კი, ერთხელ მაინც რაიმე საქმე ჰქონია შენთან.

ჩვენ ვალად გვაძევს შეუდრეკელად სიარული იმ ფართო სამეცნიერო გზით, რომელიც შენ პირველად გაჰკაფე ჩვენში. ჩვენ ვალად გვაძევს, მთელი ჩვენი ძალ-ღონე შევალიოთ შენს საყვარელ საქმეს _ მეცნიერების აყვავებას და ქვეყნის სამსახურს".

ამ მრავლისმთქმელი სიტყვებით გამოეთხოვა უკანასკნელ გზაზე მიმავალ მეცნიერს ჩვენი სახლოვანი თანამემამულე, აკადემიკოსი აკაკი გაბრიელის ძე შანიძე.

ქართველმა საზოგადოებამ, მეცნიერებმა ჩინებულად დაუფასეს ამაგი დიდ ერისკაცს, დღეს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს.

75 წელი სრულდება მეცნიერის გარდაცვალებიდან (1876-1940 წ.წ.).

ლევან გაბეჩავა

წერილი პირველი

სამტრედია ჩემი...

ყველა სახლზე სამტრედეა,
სიხარულის მჩენი,
სამტრედია, სამტრედია,
სამტრედია _ ჩემი.

გ. ჯულუხიძე

ცოტაც და სამტრედია დაარსების 145-ე წლისთავს იზეიმებს, იზეიმებენ სამტრედიელები, ის ადამიანები საკუთარი წვლილი რომ შეჰქონდათ და შეაქვთ ქვეყნის აღმავლობის საქმეში.

ძველთაძველ ქუთაისთან და ხონთან, 1500 წლის თბილისთან შედარებით 145 წლის სამტრედია "ძუძუთა ბავშვია", თუმცა საამაყო ბევრი გვაქვს, საამაყო ბევრი გვყავს სამტრედიელებს. მარტო წმინდანთა დასში დავანებული ორი სამტრედიელის, წმინდა მიტროპოლტ ნაზარის (ლეჟავა) და წმინდა ფილიმონ აღმსარებლის (ქორიძე) სახელების ხსენებაც კმარა თქმულის გასამყარებლად.

ქალაქი სამტრედია 1870 წელს, ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანასთან ერთად დაარსდა, მანამ ამ რეგიონში სავაჭრო და სამდინარო ცენტრი ორპირი იყო. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ კი სამტრედია გახდა დასავლეთ საქართველოს სარკინიგზო ცენტრი. სწორედ ამ პერიოდიდან სამტრედიაში შენდება სალოკომოტივო და სავაგონო დეპოები. ადგილობრივი მოსახლეობა სავაჭრო ურთიერთობებს ამყარებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. სამტრედიიდან გაჰქონდათ მსოფლიო ბაზარზე სიმინდი, აბრეშუმის პარკი, კვერცხი, ბამბა. სამტრედიაში მოჰყავდათ ამერიკული თამბაქო, ბენგალიური ბამბა.

1900 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშსა და ღანირში დადგეს პარკის გამოსახარში ორთქლის ქვაბები, აბრეშუმის ძაფის საქსოვი დაზგები. ხოლო იმავე 1900 წელს სამტრედიაში ააშენეს ძაფსაღები ფაბრიკა.

1919 წლამდე სამტრედია დაბა იყო.

1921 წელს სამტრედია დამტკიცდა რაიონულ ქალაქად.

სამტრედიის თანამედროვე საზღვრები დამტკიცდა 1978 წელს.

ამჟამად სამტრედიაში 50 დასახლებული პუნქტია: მათ შორის ქალაქი _ 1, დაბა _ 1, (სოფელი კულაში 1962 წელს გარდაიქმნა დაბად), დანარჩენი სოფლები.

1887 წელს სოფელ იანეთში ნიკო ნიკოლაძის შემწეობით რკინიგზის ბაქანი (პლატფორმა) გაიხსნა, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა ახლომდებარე სოფლების მცხოვრებთ.

1903 წლის სამტრედიის საზოგადოების წარმომადგენელთა კრების დადგენილებით დაბის მცხოვრებთ, თავიანთი კარ-მიდამოს გასწვრივ თავადვე უნდა შეეკეთებიათ გზები. ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებდა, ვალდებული იყო გზაც იძულებით შეეკეთებია და ჯარიმის სახით 10 მანეთიც გადაეხადა.

1909 წელს "კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა "ნამესტნიკის"საბჭოს დადგენილება, რომლითაც 3200 მანეთი გამოიყო სამტრედია-ხონის გზატკეცილის შესაკეთებლად.

1914 წლისათვის სამტრედიაში მგზავრთა გადაყვანას 100 მეეტლე ემსახურებოდა. მათი მიმოსვლის გრაფიკი, ძირითადად, განსაზღვრული იყო სადგურ "სამტრედიაში" სახალხო მატარებლების შემოსვლის გრაფიკით, რათა მგზავრებს არ შექმნოდათ პრობლემები.

1889 წლის 16 ოქტომბერს, მთავრობის დადგენილებით, სამტრედიაში, პარასკევობით დაწესდა ბაზრობა, სამტრედიის ბაზრობის პირველი მოქიშპე კულაშის ბაზრობა იყო.

1903 წელს სამტრედიის ბოქაულმა მაისურაძემ თეატრისათვის შენობა 300 მანეთად დაიქირავა. შენობა საზოგადოებრივი ყრილობებისათვისაც იყო გათვალისწინებული.

1914 წელს სამტრედიას საქართველოს სახალხო მომღერალთა გუნდი ეწვია ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით, რომელმაც კონცერტები გამართა სრულიად უსასყიდლოდ. ხოლო უფრო ადრე, 1912 წელს, ი. გრიშაშვილსა და ვ. ურუშაძეს სამტრედიაში დაუდგამთ "ჰენრიხ ნავარელი".

სამტრედიელთა ქართული ხალხურის სიმღერების გუნდს სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ: პატარიძე, ელისაშვილი, გელეიშვილი.

1914 წლისათვის სამტრედიაში არსებობდა ორი კლუბი, სადაც იმართებოდა სალიტერატურო და სამუსიკო საღამოები.

1912 წელს პროვიზორმა ჩინჩალაძემ თავის აფთიაქთან გახსნა "მიკროსკოპულ-ბაქტეოროლოგიური კაბინეტი", რაც იმ დროისათვის დიდი მიღწევა იყო.

ქალაქ სამტრედიის დაარსების 145-ე წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, დაინტერესებულთათვის ერთხელ კიდევ მოგვეგონებია, ახალგაზრდებისათვის გაგვეცნო ის ძირითადი თარიღები, მოვლენები, ფაქტები ჩვენი ქალაქის ზრდა-განვითარების მნიშვნელოვან მომენტებს რომ ასახავს.

თარიღთა უმეტესობა მოხმობილია ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორის, პროფესორ, ბატონ ვაჟა თვალავაძის წიგნიდან "სამტრედია 1870-1914 წლებში", რა თქმა უნდა მასთან შეთანხმებითა და მისი თავაზიანი ნებართვით.

ლევან გაბეჩავა

ლია წერილი ბატონ ბორის ფოსხვერაშვილს!

ცხოვრებისეულ გზაჯვარედინზე!

ბატონო ბორის!

მიუხედავად მოთმენისა, მოკრძალებისა და მოწიწებისა, მინდა გკითხოთ, სადაური წესია "მე ვიტყვი, შენ გაჩუმდი". თუმცა მახსენდება რაიკომის ბიუროს "ამბიონი", როდესაც ადამიანებს სჯიდნენ, მათ კი შეპასუხების უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ. გაჩუმება, ისევე, როგორც სიცრუე, ჩემი მრწამსი არ არის.

ბატონო ბორის!

თქვენი წერილის პათოსით გაოცებული ვარ, რადგანაც კონტროლის თვალით დანახული თვალსაწიერია. ყოველივეს თქვენეული ინტერპრეტაციას უკეთებთ, რაც ძალზე მცდარი შეხედულებაა. ვფიქრობდი, რაიონზე, ქვეყნის მერმისზე მის მომავალზე, დაფიქრებული კაცის ნაზრევს ამოვიკითხავდი, ნაცვლად ამისა, საკითხის არსიდან, რაიონის ინტერესიდან აცდენილი მდარე ხედვა დავინახე. რასაც, გულწრფელად მინდა გითხრათ, არ ველოდი, თუ ასე "კნინ" მეთოდს მიმართავდით მართლაც, რაოდენ დასანანი არ უნდა იყოს. დღეს სამტრედია იმ ბუხრის კერიას მაგონებს, სადაც ერთ დროს ცეცხლი გიზგიზებდა, ამჟამად კი ნაღვლიანი სანახაობაა, რადგანაც ნაკვერჩხალი ინავლება. საკითხავი ის არის, ვინ იქნება ის ადამიანი, ვინც ნაცარს გაქექავს, გადარჩენილ ნაპერწკალს მონახავს და კვლავ მას ალად ააბრიალებს.

უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს ჩვენ, სამტრედიელები, დაკავებული ვართ სხვადასხვა რიტუალების _ სანახაობის მოწყობით. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. უნებლიედ მახსენდება სულმნათი ნოდარ დუმბაძე და ერთი ამონარიდი მისი წიგნიდან, როდესაც ილიკო და ილარიონი ზურიკელა ვაშალომიძეს ეკითხება: "რა გიხარია ქვეყანა თუ ინგრევა"-ო.

კვლავ წერილს მინდა მივუბრუნდე. მასში ნათლად იკვეთება: "მე ვარ და ჩემი ნაბადი", სურვილია, "მე"-ს წარმოჩენის, გამსჭვალულია "ეგო"-ს ამბიციით. ან ეს რუსული "გუდოკი" რამ გაგახსენათ?! უპრიანი იქნებოდა, ქართული სამრეკლოს გამოძახილი გაგხსენებოდათ! მართალი გითხრათ, გამოხმაურებას არ ვაპირებდი, რადგანაც სათქმელი ითქვა, გამგებმა გაიგო!

ვიფიქრე, ყურს მიღმა ვატარებ-მეთქი, მაგრამ გონებაში უნებლიედ წარმოჩნდა დიდი ქართველი მამულიშვილის, დავით გურამიშვილის სულისკვეთება:

"რად გეშინის მართლის თქმისა, ფუ,
შენ ჩემო ულვაშ-ბიღო!
ვინც არ გჯერა, ასე უთხარ:
მიბძანდი და ნახე თიხო"...
ხმამაღლა მინდა ვთქვა:
სამტრედიის "დედაფუძე", რკინიგზის მაგისტრალია!
დაე, საზოგადოებამ განსაჯოს!

ია ბიბილეიშვილი

P. S. "კარგ საქმეზედა მიბაძვა არა რა დასაძრახია!"

ბ. ბ.

სამგზრედიის "ჯეოჰოსპიტალსმა" სამი წლის დავითს სიცოცხლე აჩუქა

ნინო ნანიტაშვილი

11 აპრილს, 12 საათსა და 50 წუთზე სამტრედიის "ჯეოჰოსპიტალსში" სამი წლის დავითი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს. თანმხლები პირების განცხადებით, ბავშვი წყლით სავსე აუზში ჩავარდნილი უგონო მდგომარეობაში იპოვეს. როგორც სამედიცინო პერსონალმა მოგვიანებით გვითხრა, ჭირისუფლებმა არ იცოდნენ ბავშვი აუზში რა დროის განმავლობაში იმყოფებოდა. შემთხვევა წერეთლის ქუჩაზე მოხდა. საიდანაც, მინიმუმ 5 წუთი მაინც იყო საჭირო, პაციენტის კლინიკაში მიყვანამდე.

როგორც იმ დროს "ჯეოჰოსპიტალსში" მყოფი ადამიანები იხსენებენ, სამედიცინო ცენტრის ეზოში დიდი სიჩქარით შემოსული ავტომანქანის ხმაურზე ოპერატიულად შეიკრიბა მორიგე ექიმთა ჯგუფი, განურჩევლად განყოფილებებისა. პაციენტთან იმწუთშივე გაჩნდა რეანიმატოლოგი ეთერ სტურუა, ქირურგი ნოდარ ფახურიძე, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი ლია ბიბილეიშვილი, მორიგე პედიატრი ინგა ჩუბინიძე, პედიატრიული სამსახურის მიმართულების ხელმძღვანელი თამარ ლოლაძე.

როგორც ექიმები ზოგადად იხსენებენ, სამი წლის დავითი იყო კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ პაციენტს არ აღენიშნებოდა გულის ცემა, სუნთქვა. ერთიანად იყო ლურჯი, სველი და ცივი.

ეთერ სტურუა: "იმ დღეს მე მორიგე ექიმი რეანიმატოლოგი ვიყავი, "ემერჯენსის" განყოფილებაში. მაშინვე დავიწყეთ რეანიმაციული ღონისძიებების გატარება. პირველ რიგში ნაყლაპი წყლისაგან და საკვების მასებისაგან განთავისუფლდა სასუნთქი გზები. ანესთეზიოლოგ ლია ბიბილეიშვილს მიერ ბავშვი გადაყვანილი იქნა ხელოვნურ სუნთქვაზე. პარალელურად უტარდებოდა გულის არაპირდაპირი მასაჟი. იქვე დაეწყო მედიკამენტოზური დახმარებაც. 20 წელია, ექიმი ვარ და მსგავს შემთხვევას ვერ ვიხსენებ. ალბათ, არასოდეს დამავიწყდება ჩემი ხელის გულში ბავშვის გულის ცემა რომ შევიგრძენი".

"ძნელია, იმ განცდის გადმოცემა, რაც განვიცადე. რამდენიმე წუთიანი უშედეგო რეანიმაციული ღონისძიებებისა და იმედის თითქმის გადაწურვის შემდეგ მორიგე რეანიმატოლოგმა რომ წამოიძახა: "გული ამუშავდა". ამის შემდეგ მონიტორზე დაფიქსირდა სასიცოცხლო ორგანოების ფუნქციონირება.

თამარ ლოლაძე: "მიუხედავად სასიცოცხლო პარამეტრების დადებითი დინამიკისა და ადეკვატური მკურნალობის გაგრძელებისა, ძალიან დიდი საშიშროება იყო თავის ტვინის ქერქის სიკვდილის განვითარების. ამაზე მიგვითითებს თავის ტვინის უჟანგბადობის ხანგრძლივი პერიოდი. მოსალოდნელი გართულებებისა და შემდგომი მკურნალობის მიზნით ბავშვი კატასტროფის სამსახურის პედიატრიული ბრიგადის მიერ გადაყვანილი იქნა ბათუმის დედათა და ბავშვთა დაცვის ცენტრში, ზოგადად მძიმე, მაგრამ სტაბილური მდგომარეობით. ბათუმიდან დავითი თბილისში იაშვილის სახელობის სამედიცინო დაწესებულებაში გაწერეს, სადაც მას ინტენსიური მკურნალობა ჩაუტარდა.

"ჯეოჰოსპიტალსის" ექიმების სასახელოდ მინდა, ვთქვა, რომ 11 აპრილს მომხდარი ფაქტის დროს გუნდურმა მუშაობამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. მეამაყება, რომ მე ვარ ამ კოლექტივის წევრი. ეს არის ჩამოყალიბებული, ერთ გუნდად შეკრული სამედიცინო დაწესებულება და ამ შემთხვევაშიც მთელი გუნდი გრძნობდა უფროსი ექიმის, ირაკლი ლაღიძის გვერდით დგომას, მისი მხრიდან რეალურ დახმარებას."

ლია ბიბილეიშვილი: "გულის ამუშავებიდან რამდენიმე წუთში შემოვიდა მორიგე ლაბორანტი თეა კოპალეიშვილი და გვაცნობა მაცხოვრის საფლავთან ცეცხლის გადმოსვლის შესახებ. სწორედ იმ წუთებში "ჯეოჰოსპიტალსის" რეანიმაციულ განყოფილებაში ჩვენი ბრიგადა სამი წლის დავითის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ვიბრძოდით. ღმერთმა მისი თავი არა მარტო მშობლებს, ჩვენც გვაჩუქა. პატარა დათუნა ზუსტად იმდენი წლისაა, რამდენისიც მისი გადამრჩენი საავადმყოფო."

სამი წლის დავითი 2011 წლის 11 ნოემბერს არის დაბადებული. როცა ექიმი ისტორიას ავსებდა მისი ყურადღება ფურცელზე გამოხატულმა ციფრების ერთფეროვნებამ მიიპყრო _ 11. 11. 2011. უბედური შემთხვევაც 11 რიცხვში მოხდა. ეს შეიძლება უბრალო დამთხვევაა, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შემთხვევა ბედნიერად დასრულდა და ზუსტად დაემთხვა აღდგომის კვირას, კონკრეტულად, მაცხოვრის საფლავიდან ცეცხლის გადმოსვლას. ამდენად, ბავშვის გადარჩენაში სამტრედიელი ექიმები მარტო თავიანთ წვლილს არ ხედავენ.

მხიარულთა და საზრიანთა შერკინება გრძელდება

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ორგანიზებით და მანსანკანის ფედერაციის ხელშეწყობით განახლდა სასკოლო ჩემპიონატი მანსანკანში. ორი დღით დაეთმოთ ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენა მოსწავლეებს. 7-მა გუნდმა წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები და გონებამახვილთა და საზრიანთა პაექრობაში შეერკინნენ ერთმანეთს. ჟიურის წევრები იყვნენ: სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები ლაშა ლორია და აკაკი ჭანჭალეიშვილი, შპს ''სამტრედიის მაცნეს'' დირექტორი ბეჟან გოგია, დასავლეთ საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ფედერაციის წარმომადგენლები დათო ფურცხვანიძე, გიორგი კვატაშიძე და ლაშა გედენიძე. შეხვედრა წყალტუბოელ გიორგი ჩირგაძეს მიჰყავდა.

მანსანკანის სამტრედიის სასკოლო ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში მონაწილეობდნენ იანეთის საჯარო სკოლის გუნდი ''მაძაგები'', მე-10 საჯარო სკოლის გუნდი ''ნარჩევი საზოგადოება'' და მე-3 სკოლის გუნდი ''გრინჩი''.

ვიდრე ჩემპიონატი გაიხსნებოდა, სცენაზე წარსდგა სამტრედიის რეალობაში სულ ახლახან გაჩენილი ფოლკ ჯგუფი ''ლადი'' ეს ახალგაზრდები ხალხურ საკრავებზე შესანიშნავად რომ უკრავენ და კარგადაც რომ მღერიან, ამაში დარბაზში მსხდომნიც დარწმუნდნენ. ჯგუფს მელომანი, კარიკატურისტი და წარსულში სამტრედიის ანსამბლ ''ცისარტყელას'' გიტარისტი, შპს ''სამტრედიის მაცნეს'' დირექტორი ბეჟან გოგია ხელმძღვანელობს. ჯგუფმა სამი სიმღერა შეასრულა, გამორჩეული იყო ფაფახიანი ბექა სულაქველიძის ნამღერი, ''ბინდი ჩამოწვა არხოტის თავზე''. წარმატებებს ვუსურვებთ ახლად დაარსებულ ჯგუფს, სამტრედიის შესანიშნავ მუსიკალურ ჯგუფად ქცეულიყოს.

მხიარულთა და საზრიანთა კონკურსის მონაწილეებმა 3 ტიპის დავალება შეასრულეს. პირველ მისალმება იყო, მეორე კითხვა-პასუხი და მესამე საშინაო დავალება, იგივე სკეტჩი. უნდა ითქვას, რომ პირველსა და მესამე ტიპის დავალებას შედარებით კარგად გაართვეს თავი, ყველაზე პრობლემური კითხვა-პასუხში ქულის მოპოვება იყო. მაქსიმუმი 5 ბალიანი შეფასება გახლდათ. საერთო ჯამში, კრიტიკულები ვერ ვიქნებით, რადგან ძალზე ძნელი საქმეა, დარბაზი გულიანად გაიცინო და ეს შეძლონ პატარა გოგოებიჭებმა, თუმცა მცდელობას იმისას, რომ ისინი შემოქმედებითად გაიზრდებიან, უკვე ვამჩნევთ და ეს გვახარებს. სამართლიანად შენიშნა პირველი ნახევარფინალური შეხვედრის ბოლოს ჟიურის წევრმა ლაშა ლორიამ, ''წელს ქვემოთ ხუმრობები სჭარბობდაო'', დარბაზის გარეთ კი ერთ-ერთმა ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველმა რესპონდენტმა გვითხრა, შვილთან ერთად რომ ვყოფილიყავი, დავტოვებდი დარბაზს, იმდენჯერ გაიჟღერა უცენზურო სიტყვებმაო. არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე ხუმრობა მოუწონეს ჟიურის ქუთაისელმა წარმომადგენლებმა ჩვენს კონკურსანტებს. ჩვენი მხრივ კი დავსძენთ, იუმორისტული შოუების ქვეყანაში ისე არ დაშრეტილა იუმორის საბადო, რომ

გარდაცვლილი ბებია-ბაბუების ქილაში ჩახუფვაზე არ ვიხუმროთ და გაცილებით კრეატიულები ვიყოთ. იყო ნომრები, სადაც გამოჩნდა მონაწილეთა მუსიკალური ნიჭიერება, გონებრივი სიხარტე, მსახიობური შესაძლებლობები, დარბაზში მყოფმა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ ბევრი იხალისა, როცა მე-3 სკოლელთა ფოტომონტაჟში მისი და ბარაკ ობამას შეხვედრას ფოტოც იხილა. ბეჟან გოგიამ კი ბენჟამენ ფრანკლინის ადგილი დაიკავა ამერიკულ დოლარში. პოლიტიკურ იუმორსაც ვერ ავცდით, პენსია-ხელფასების დაპირების და ხალხის გადაგდების თემა აქტუალური იყო. პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში 66 ქულა ''მაძაგებმა'', 67 ''გრინჩმა'', ხოლო 69 ''ნარჩევმა საზოგადოებამ'' მოიპოვა. ჟიურის სიმპათიები ყველა გამომსვლელმა დაიმსახურა, ბეჟან გოგიამ მე-10 საჯარო სკოლიდან ლაშა სტურუა და იანეთიდან ირაკლი კოტიშაძე გამოჰყო.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრის მონაწილენი იყვნენ მე-11 საჯარო სკოლის გუნდი ''სელფი'' , მე-4 საჯარო სკოლის გუნდი ''ქრეიზი'', პირველი მაისის გუნდი ''სოფელო'' და № 1 სკოლის გუნდი ''ტეკილა''.

ამ დღეს აქტუალური იყო ხუმრობები კესო-ბესოზე, პუტინზე, ან ასეთი: თხა თხაზე ნაკლები ხადურმა შეჭამოსო. ''სოფელოს'' ერთ-ერთი ნომერი იუბილარ ბიძინა ივანიშვილს მიეძღვნა, რომელსაც ასე მიმართეს: ''თქვენი პინგვინის ჭირიმე, თქვენს ზებრას ვენაცვალეო''. ჟიურის წევრებმა საბოლოო შეფასების დროს აღნიშნეს, რომ მე-11 სკოლის მისალმება იყო კარგი და საინტერესო, ამ გუნდის კაპიტანი ზიკო ჯინჭარაძე იყო არაჩვეულებრივი. _ აღნიშნა აკაკი ჭანჭალეიშვილმა. ლაშა გედენიძემ კი განაცხადა, რომ ზიკო უმაღლესი ადამიანია, მანვე მოიწონა № 1 სკოლის გუნდის გოგონების მუსიკალური ნომერი. გოგა კვატაშიძემ პირველი მაისის გუნდის ფინალური ნომერი მოიწონა. დავით ფურცხვანიძემ კონკურსანტებს უკბილო ხუმრობების სრულიად ამოღება და პოლიტიკური ხუმრობებისგან დისტანცირება ურჩია. ბეჟან გოგიამ ზიკო ჯინჭარაძის თამაში გამოჰყო და 1-ლი სკოლელები ძალიან მუსიკალურ მონაწილეებად მიიჩნია. ყველაზე მცირე ქულა _ 49 გუნდ ''ქრეიზის'' ერგო და შესაბამისად, თამაშს გამოეთიშა.

მხოლოდ 3 გუნდი გადავიდა ნახევარფინალში. უმაღლესი ქულით 65 _ ''სელფი'', ''ტეკილა'' _ 61 ქულით, ხოლო ''სოფელო'' _ 56 ქულით.

პირველი დღის თამაშებს დაესწრო მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია, რომელმაც შთაბეჭდილება გაგვიზიარა:

''შაგრად ვიხალისე, კარგი იუმორი იყო, ესენი მოსწავლეები არიან, და მიუხედავად იმისა მე-12 კლასში გადავიდნენ, მეტი ყურადღებაა საჭირო, ახსენეს ისეთი სიტყვები, რომლებიც არ მომეწონა, ისე საერთო ჯამში, კარგი თაობა მოდის, მყავს ჩემი ფავორიტი გუნდიც, მაგრამ არ დავასახელებ, ტენდენციურობაში რომ არ დამადანაშაულონ''.

კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე: ''მივესალმები ახალგაზრდულ ღონისძიებებს, გვსურს ბევრი ასეთი ღონისძიება ჩავატაროთ, ძალიან კარგი დასაწყისია, ვნახოთ შემდგომ ეტაპზე როგორები იქნებიან. რამდენიმე ორგანიზატორი ჩაერთო ამ საქმეში: მანსანკანის ფედერაციამ და ჩვენმა მუნიციპალიტეტმა შეთანხმებულად დავაკომპლექტეთ ჟიური. მოწვეულები იმიტომ არიან, რომ რაიმე მიკერძოებას არ ჰქონდეს ადგილი''.

''მტრედები'' კეთილი მისიით

საქართველოს ამერ-იმერში, მთასა და ბარში წარმატებით იღვწიან ჩხენიშის საჯარო სკოლის აღზრდილები. ცოდნის ეს კერა ტრადიციას არ ღალატობს და გონივრული ღონისძიებების ინიციატორებიც მრავლად არიან სკოლაში.

გადაწყვეტილება სათნოების სახლის ბინადართათვის ლამაზი წუთები ეჩუქებიათ, კიდევ უფრო გაცნობოდნენ სათნო მოხუცებს, სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა ახლახან მიიღეს და 2 აპრილს სისრულეში მოიყვანეს.

ვიდრე მოხუცები დარბაზში ადგილებს იკავებდნენ, სტუმრებმა მაგიდები ხილით, ტკბილეულით აავსეს. ''ჩვენც დავბერდებით'' _ ეს სიტყვები ამშვენებდა მასპინძლებისათვის სტუმართაგან მირთმეულ ტორტს. მოსწავლეთა ძალებით ქართული ფოლკლორის ბრწყინვალე ნიმუშები შესრულდა, მხატვრული განყოფილება ესთეტიკური აღზრდის კათედრის გამგის, პედაგოგ ლაშა ჩიჩუას ხელმძღვანელობით იყო ორგანიზებული, საინტერესო იყო უცხოური ცეკვა.

სათნოების სახლის ბინადარმა, ქალბატონმა მზია ბარბაქაძემ სვანურ, აჭარულ მელოდიებზე ხელი რომ გაშალა, სტუმარ-მასპინძელი ერთობლივად აცეკვდა. ქართველ პოეტთა ლექსები ბრწყინვალედ წაიკითხა სახლის ბინადარმა, ქალბატონმა ჯულიეტა ჩიხლაძემ. ერთი სიტყვით სათნოების სახლში იმ წუთში საოცრად მალე გაქრა ზღვარი სტუმარ-მასპინძლობას შორის და ყველანი ერთი დიდი ოჯახის წევრებად ვიქეცით.

მარტოდ არ იგრძნოთ თავი, მრავალ ხარებას, ბზობას, აღდგომას დაესწარით, კვლავ გინახულებთ, დაემშვიდობნენ სამოქალაქო კლუბის წევრები, მათი პედაგოგები მოხუცებს.

ორიოდე სიტყვით სამოქალაქო კლუბის შესახებ.

_ კლუბი ''მტრედები'' ჩხენიშის საჯარო სკოლის IX-X-XI კლასელებითაა დაკომპლექტებული, მას პედაგოგი, ქალბატონი ელენე დავითიანი ხელმძღვანელობს, ეს ღონისძიება სკოლისგარეთა პირველი აქტივობაა, მომავალში დაგეგმილი გვაქვს საჩვენებელი გაკვეთილი და გამწვანება-დასუფთავების აქციის მოწყობა. _ გვეუბნებიან კლუბის ლიდერი მეგი კაკაბაძე და კლუბის წევრი თიკო მიქაძე.



ქალბატონმა ელენე დავითიანმა სამადლობელი არ დაიშურა სკოლის დირექტორის, ქალბატონ სვეტლანა ტკვაცირიას მისამართით, მხარში გვიდგას, მაქსიმალურად გვეხმარება ნებისმიერი ინიციატივის ხორცშესხმაშიო. _ გვითხრა მან. თავის მხრივ, ქალბატონმა სვეტლანა ტკვაცირიამაც მადლობა უთხრა მოსწავლეებს, სამოქალაქო კლუბის წევრებს აქტიურობისათვის და იმ დაუვიწყარი წუთებისათვის, მათ რომ განაცდევინეს სათნოების სახლის ბინადართ.

კვლავ შეხვედრის დიდი სურვილით დაემშვიდობნენ ერთმანეთს სტუმრები და მასპინძლები.

ჩვენც დავბერდებით, ხმიანდებოდა გონებაში!

ლევან გაბიჩავა

ზიზი ხვედელიძე ფრანკოფონიის კონკურსის მამარჯვებული

ნათია ნაცვლიშვილი

სიყვარულის, სულიერების, მეცნიერების ენას _ ფრანგულს საქართველოში გაზაფხული ნამდვილად არ უდგას, მაგრამ პედაგოგები ძალისხმევას არ იშურებენ, შეასწავლონ მოსწავლეებს ეს ენა.

ყოველწლიურად მარტის თვეში საქართველოში ფრანკოფონიის დღეები ტარდება, რომლის ინიციატორები არიან, საფრანგეთის საელჩო საქართველოში და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული ინსტიტუტი. (ინსტიტუტის დირექტორი, ჟან ივ ლავუარი) ასევე, მისი თანაშემწე, ქეთევან ქურციკიძე. ეს კონკურსი ინტერნეტით ცხადდება.

''სამტრედიის მაცნეს'' წლევანდელი კონკურსის გამარჯვებული №2 საჯარო სკოლის მოსწავლე ზიზი ხვედელიძე და მისი მასწავლებელი, გულიკო გოგიტიძე ეწვივნენ.

''ჩვენ დიდი ხანია ვღებულობთ მონაწილეობას ამ შესანიშნავ პროგრამაში. ამ ოთხი წლის განმავლობაში კი ყოველთვის გამარჯვებულნი გამოვედით. შარშან აბაშის პირველი მაისის საჯარო სკოლის მოსწავლე ნინო ჩიტია გახდა გამარჯვებული. დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომითა და სიგელებით. რამდენიმე წლის წინ, ილორელმა მოსწავლემ, ნატო მარგიანმა მართლაც განაცვიფრა აუდიტორია და მას მისცეს რეკომენდაცია, სწავლა საფრანგეთში გაეგრძელებინა. მან ორი წელი ისწავლა ქალაქ ტულუზაში. ასევე, თამარ ნიკოლეიშვილი, თეა დუნდუა, ბევრი წარმატებული მოსწავლე გვყავს.''_ გვეუბნება ფრანგული ენის პედაგოგი გულიკო გოგიტიძე.

წლეულს ''ფრანკოფონია 2015_ის'' კონკურსი 12 დან 18 წლის ასაკის მოსწავლეთა შორის გაიმართა. მასში სამტრედიის №2 საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლემ ილორის უბნიდან, ზიზი ხვედელიძემ გაიმარჯვა. ილორის სკოლა №2 საჯარო სკოლასთან არის შერწმული.

კონკურსანტებს ევალებოდათ 10 საკმაოდ რთული სიტყვის გამოყენებით 200 სიტყვიანი ტექსტის შედგენა. ტექსტი სტილისტურად გამართული და იდეურად საინტერესო უნდა ყოფილიყო. მოცემული სიტყვები იყო: ვიკიპედია, შემთხვევითობა, სასარგებლო, სიმშვიდე, სიწყნარე, დათმობა, ძველმოდური, ერთმანეთში არევა... სხვა ნომინაციები ამ სიტყვების მიხედვით ლექსის დაწერას, ან ჩანახატის შექმნას, ან ვიდეო ფილმის გადაღებას ითვალისწინებდა.

''ჩვენს გაოცებას საზღვარი აქ ჰქონდა, როცა დაგვირეკა ქალბატონმა ქეთევან ქურციკიძემ და გვითხრა, რომ ვიყავით არა მარტო გამარჯვებული და პირველი ხარისხის დიპლომის, არამედ სპეციალური პრიზის მფლობელიც. ხუთ კონტინენტზე ფრანგულ ენაზე ლაპარაკობენ. ინგლისურის შემდეგ ეს ენა ძალიან დაფასებულია. ამ სკოლაში ფრანგულ ენას მხოლოდ ფაკულტატიურ მეცადინეობაზე ვასწავლი. ზიზი კვირაში ორჯერ მეცადინეობს. ის შესანიშნავი მოსწავლეა. ჩვენ გადმოგვეცა ფასიანი საჩუქრები და წიგნები. დაჯილდოვებაზე თბილისში ვერ ჩავედით. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში გადმოგვეცა ეს პრიზები. ილორის ეს პატარა უბანი სადაც მხოლოდ ხუთი ბავშვია კლასში, ასე ასახელა ზიზი ხვედელიძემ. ფრანგული ენა საოცრად მუსიკალურია. ფრანგები არიან გამორჩეულნი. ის რად ღირს, დიუმამ რომ იმოგზაურა საქართველოში და კავკასია აღწერა. ძალიან კმაყოფილნი ვართ. ეს გამარჯვება კიდევ მეტს გვავალებს''_ ემოციებს ვერ მალავს ქალბატონი გულიკო.

ზიზი ხვედელიძე: ''კონკურსში შემოგვთავაზეს სიტყვები ვიკიპედია, ცრურწმენა, თილისმა. შევადგინე ტექსტი, აღვწერე ნამდვილი ამბავი, რომ ვიყავი კონკურსანტი, ვუკრავდი ფორტეპიანოზე. ბებომ და ბაბუამ დამიტოვეს თილისმა. მართალია, ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ მჯეროდა ამ თილისმის, რომელმაც გამამარჯვებინა. უფლის წყალობით გავიმარჯვე. ამაში დიდია გულიკო მასწავლებლის წვლილი. მინდა კარგად ვისწავლო ფრანგული. სხვებსაც ვურჩევ კარგად შეისწავლონ ეს ენა.''

24 აპრილი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეა!

ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდების პასუხსაგებ თანამდებობებზე დანიშვნა საქართველოში და არა მარტო აქ უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რაშიც კარგის მეტს ვერაფერს ვხედავთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამოუწურავია ახალგაზრდობის ენერგია, დიდია მათი შესაძლებლობები.

ჩვენი გაზეთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარ სპეციალისტზე საორგანიზაციო საკითხებში, ბატონ სერგო კოპალეიშვილზე რამდენიმე ხნის წინ წერდა, თუმცა ამჯერად მასთან საუბარი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის მოახლოებასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ.

დაიბადა სოფელ ეწერში, ქუთაისის 37-ე საჯარო სკოლის შემდეგ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. ისტორიკოსი და საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი ერთხანს პოლიკლინიკურ გაერთიანებაში და ეწრის საჯარო სკოლაში მუშაობდა. მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაკავებულ პოზიციაზე კონკურსის წესით მოხვდა.

25 წლის ახალგაზრდას ჰყავს მეუღლე მირანდა სანიკიძე და ორი ქალიშვილი _ ბარბარე და ელენე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა, საკრებულოს ორი კომისიის მდივნობა, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს წევრობა ამჯერად ბატონი სერგოს უშუალო მოვალეობაა, აღნიშნავს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობა ობიექტურად, გამჭვირვალედ მიმდინარეობდა და მოხდა კიდეც პროფესიული კადრების შერჩევა.

მართლმადიდებელი ქრისტიანი, მორწმუნე ახალგაზრდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მოღვაწეობას დადებითად აფასებს. ამბობს, რომ საქართველოს ისტორიაში ილია მეორის მწყემსმთავრობის ხანა ოქროს ასოებით ჩაიწერება.

კონსტანტინე გამსახურდია, ილია ჭავჭავაძე რესპონდენტის საყვარელი კლასიკოსებია, კალათბურთისა და ფრენბურთის დიდი გულშემატკივარი თავისუფალ დროს ოჯახში ატარებს, მისთვის არც ოჯახური მეურნეობის გაძღოლაა უცხო, პირიქით, მიიჩნევს, რომ ძლიერი სოფელი ქვეყნის ძლიერებისა და აღორძინების წინაპირობაა.

კომპიუტერიზაციამ რომ ახალგაზრდები გარკვეულად ჩამოაშორა წიგნს, ახალგაზრდებმა მეტად რომ უნდა იმეგობრონ წიგნთან, ბატონი სერგოს სუბიექტური აზრია და სავსებით სამართლიანიც.

_ ქალები პოლიტიკაში უფრო მეტად რომ უნდა იყვნენ ჩართულები, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში ახალგაზრდობამ მეტი აქტიურობა რომ უნდა გამოიჩინონ ეს დროის მოთხოვნაა, ამავდროულად აუცილებელიცაა, მართლმადიდებლური, ეროვნული ტრადიციებიდან გამომდინარე არატრადიციულ ორიენტაციის მიმდევრების ჩვენ ქვეყანაში არსებობას ნამდვილად ვერ მივესალმები, თუმცა, მათ მიმართ ყოველგვარ ძალადობას ვემიჯნები. _ აღნიშნავს რესპონდენტი.

შეკითხვაზე, როგორ წარმოუდგენიათ სამტრედია უახლოეს მომავალში, რესპონდენტი გვპასუხობს: _ კერძო სექტორის, მცირე ბიზნესის განვითარება შექმნის ხელსაყრელ პირობებს საიმისოდ, რომ სამტრედია, როგორც ადმინისტრაციული ერთეული გაძლიერდეს, დასაქმდეს უფრო მეტი ადამიანი.

''სამტრედიის მაცნეს'' თითქმის ყველა ნომერს ვკითხულობ, კარგი გაზეთია, რელიგიურ-სპორტული თემები უფრო ვრცლად და ხშირად თუ გაშუქდება, მიველსამებიო. _ მოკრძალებით აღნიშნა რესპონდენტმა.

24 აპრილს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღინიშნება, წარმატებებს ვუსურვებთ პერსპექტიულ ახალგაზრდას, ვიმედოვნებთ მასზე, მის მიღწევებზე კვლავაც მოგვიწევს წერა.

ლევან გაგნიძე

ოცნებებივით მიავალფეროვანი პალიტრა

ნათია ნაცვლიშვილი

მისი ფერთა პალიტრა ისევე მრავალფეროვანია, როგორც მისი ბავშვური ოცნებები. ის ჯერ მხოლოდ 9 წლისაა, ხატვის სიყვარული მასში 3 წლის ასაკიდან გამოვლინდა, ფუნჯებიც ბლომად მოუმარაგეს და ფანქრებიც, ისიც ჩაიძირა ხელოვნების ამ უკიდეგანო სივრცეში და ბავშვური სათქმელი ფურცელზე მისებურად გადააქვს. მისი პერსონაჟები ხან ქართული, ხანაც უცხოური მულტფილმების გმირებია, ხან ბუნების პეიზაჟებს და ნატურმორტებს ქმნის, ხატავს პორტრეტებს, (დედის პორტრეტსაც გვაჩვენებს) ტაძრებს (თავის, წარმოსახვით) მის ნახატებს შორის, ეგვიპტის პირამიდებსაც შევხვდებით და ელვა მაქვინსაც.

№ 1 საჯარო სკოლის ფოიეში, მე-4 კლასის მოსწავლეს ბადრი (ბაკო) შენგელიას გამოფენა მოუწყვეს. პედაგოგი ნონა ჯინჭარაძე გვეუბნება, რომ ბაკოს ისე ძალიან უყვარს ხატვა, თვით საგაკვეთილო პროცესშიც ვერ ისვენებს, რაღაც კონტურები რომ არ გაავლოს ფურცელზე. შეუძლია სწრაფი აზროვნებაც და თან ხატვაც. ის თავის მოსწავლეს სხარტ, გონებამახვილ ბავშვად მიიჩნევს: ''მოვაგროვეთ მისი ნახატები, ბავშვს ბევრი ინფორმაცია მივაწოდეთ სხვადასხვა მხატვრების შესახებ, ხატვის ჟანრების შესახებ, დღევანდელი გამოფენა, მჯერა მისი წარმატების საწინდარი იქნება ის ყველა საგანს თანაბრად კარგად ეუფლება''.

პედაგოგის ამ შეხედულებას სავსებით იზიარებენ მისი პედაგოგები სამხატვრო სკოლა-გალერიიდან: თეონა გეგუჩაძე და ქრისტინა გიგინეიშვილი. თეონა ფერმცოდნეობის, ქრისტინა კი, მოდელირება-დიზაინის პედაგოგია. ქალბატონმა თეონამ გვითხრა: 1 წელია, რაც ბაკოს ვიცნობ, იგი საკმაოდ ნიჭიერი და კარგი ბავშვია, კარგად აღიქვამს ფერებს, შესანიშნავად ახდენს ფერთა გრადაციას, კარგად დაეუფლა ფუნჯითა და საღებავით ხატვის ტექნიკას, ხატავს ნატურმორტებს, პორტრეტებს, გრაფიკულ ნამუშევრებს, კარგად ხატავს აბსტრაქციაში. ქრისტინა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ის კარგი ყოფაქცევის ბავშვია, მოწესრიგებული, განსაკუთრებულად ლურჯი ფერი უყვარს, კარგად აღიქვამს ფერებს და ჩრდილებს. პედაგოგები მას დიდ წარმატებას უსურვებენ.

დედის, სოფიკო ჩხაიძის თქმით, 2 წლის განმავლობაში ბაკო თბილისის 55-ე საჯარო სკოლის სამხატვრო სტუდიაში დადიოდა, მას მშობლები მაქსიმალურად უწყობენ ხელს ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენაში. ''გვსურს უყვარდეს მას ხელოვნება, დღეს მისი პირველი ნაბიჯებია, ეს გამოფენა თავის პედაგოგს და მეგობრებს მიუძღვნა, გვსურს მომავალი ნაბიჯები წარმატებული ჰქონდეს''. _ აღნიშნა მან.

სკოლის დირექტორი, ხათუნა ფაილაძე:

''ბაკო ძალიან ჭკვიანი და აზრიანი ბავშვია, ეს ნამუშევრები სრულად არ ასახავს მის შემოქმედებას. იგი სხვადასხვა აქტივობაში ღებულობს მონაწილეობას. ჩვენ გვინახავს მის მიერ შექმნილი წიგნი არგონავტებზე, პროექტში ''ჩემი პირველი წიგნი'', მან შესანიშნავი გოგრები წარმოადგინა გოგრების გამოფენაზე, საახალწლოდ მის მიერ შექმნილი ნამუშევრებით მოიწყო ჩვენი დარბაზი. ის არის ძალიან ცნობისმოყვარე, აზრიანი, კრეატიული ბავშვი. თუ მას ექნება სურვილი და თავის ნიჭს ამ მიმართულებით განავითარებს, წარმატებას მიაღწევს. მისი პედაგოგი ნონა ჯინჭარაძე მას დიდ ყურადღებას აქცევს და ყველანაირად ცდილობს, ამ მიმართულებით მუშაობაში დაეხმაროს, თავად არაერთ იდეას აწვდის და დღევანდელი გამოფენაც მისი იდეაა''.

ბაკოს ბაბუა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ბადრი შენგელია:

''ძალიან გახარებული ვარ დღეს, საერთოდ ყოველთვის სასიხარულოა, ბავშს რომ რისამე ნიჭი აქვს, განსაკუთრებით, ფერწერის. ყოველთვის მთხოვს, ბუნებაში ვისეირნოთ, მეტი გაიგოს, მეტი შეიმეცნოს. სიამოვნებით ვუძენ სახატავ ფურცლებს, ძალიან უყვარს ცხოველები: ძაღლები, ცხენები, ინტერესიანი, მეოცნებე ბავშვია, აინტერესებს ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია. ივითარებს თვალსაწიერს, ინტერესდება კოსმოსითაც, აინტერესებს უცხო ენები, გზას დავულოცავ მას და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ''.

ვუერთდებით ბაკოს კეთილის მსურველთა რიცხვს და წარმატებულ მომავალს ვუსურვებთ!

ლიტერატურულ კლუბს საფუძველი ჩაეყარა

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულ მოსწავლეთა პარლამენტს ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი აქვს რამდენიმე საინტერესო ღონისძიების მომზადება, მათ შორის, შეხვდნენ სამტრედიელ შემოქმედ ადამიანებს, ძირითადად თანატოლებს, თუმცა, მათი დიდი სურვილია, ერთი ღონისძიება დაუთმონ ყველასთვის კარგად ნაცნობ მხატვარსა და პოეტს, ჯემალ ტაბიძეს.

9 აპრილს ბატონი ჯემალი დაესწრო და თავისი შეფასება გააკეთა ქართული ენისადმი მიძღვნილი კვირეულის გახსნაზე. მოსწავლეთა პარლამენტმა პირველი ღონისძიება სამ ნიჭიერ ახალგაზრდას მიუძღვნა. ბექა ჩანტლაძე, მარიამ ჩაჩუა და ლექსო სანიკიძე გამორჩეულები არიან შემოქმედებითი უნარით. ისინი რამდენიმე წელია, წერენ ჩანახატებს, ლექსებს, რომელთა ნაწილი მკითხველმა ადგილობრივი გაზეთის მეშვეობით უკვე გაიცნო.

9 აპრილს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარის, ქეთი აბრამიშვილის სიტყვები რომ გავიმეოროთ, მოხდა ამ ახალგაზრდების შემოქმედების დაჯაშნიკება.

ვიდრე ბექა, მარიამი და ლექსო მუზეუმში შეკრებილებს თავიანთ შემოქმედებას პირადად გააცნობდნენ, მოსწავლეთა პარლამენტის წევრებმა ქეთი აბრამიშვილმა, ირაკლი დარჯანიამ, ქრისტინე კერელეიშვილმა, მარი ტორონჯაძემ, ნინი ვოვიამ, მარიამ აბრამიშვილმა, ავთო უჯმაჯურიძემ ზოგადად ისაუბრეს ხელოვნებაზე, მათ შორის პოეზიაზე. მერაბიკო გეგეჭკორმა საღამო გიტარის თანხლებით შესრულებული სიმღერებით გაალამაზა.

ბექამ და მარიამმა თავიანთი შემოქმედებიდან წაიკითხეს რამდენიმე ჩანახატი, ლექსოს თხოვნით მისმა თანაკლასელმა მარიმ მაყურებელს ნიჭიერი ახალგაზრდის რამდენიმე ლექსი გააცნო.

საღამოს ესწრებოდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ტატა გოგუაძე, მოადგილე ელენე ანკვაბი. აქვე აღნიშვნის ღირსია, რომ ქალბატონი ელენე ამ შეხვედრის ორგანიზებაში აქტიურად იყო ჩართული.

ქეთი აბრამიშვილი, მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე: "არ შემიძლია, ამაგი დავუკარგო ელენე ანკვაბს, რომელიც საკუთარი შვილივით ღებულობს ყველა ნიჭიერ შემოქმედს. ქალბატონი ელენეს ინიციატივა იყო, ქართული ენის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებულიყო კვირეული სათაურით "ქართული მარტო ენაა, ქართული ქართველთ რწმენაა!"

რამდენიმე სიტყვით მინდა, შევეხო ჩემს მეგობრებს, ბექას, მარიამსა და ლექსოს, რომელთა შემოქმედების გასაცნობადაც გაიმართა ეს ღონისძიება. თქვენც ნახეთ, რა ნიჭიერი და ერუდირებული ახალგაზრდები არიან. რომ არა ბევრი კითხვა და ზოგადი განათლება, ისინი ასეთ კარგ ჩანახატებს ვერ შემოგვთავაზებდნენ. მოხარული ვარ, რომ ჩემს საყვარელ სამტრედიაში შემოქმედებითი ახალგაზრდები ერთეულები არ არიან. აქვე გეტყვით, რომ დღეს საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურულ კლუბს, რომელშიც გაწევრიანება შეეძლება ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას. მოსწავლეთა პარლამენტი შეეცდება, ხშირად მოვაწყოთ შემოქმედებითი საღამოები".

ბექა ჩანტლაძე პირველი საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეა. მისი ჩანახატები გამორჩეულია ინდივიდუალიზმით, მხატვრულობით, ექსცენტრულობით. ბექას რამდენიმე ნაწარმოები "სამტრედიის მაცნეს" მკითხველმა უკვე გაიცნო. ამჯერად გთავაზობთ _ ორი ნიჭიერი, მე-11 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეების მარიამ ჩაჩუასა და ლექსო სანიკიძის შემოქმედებას.

ნინო ნანიტაშვილი

სიზიფე

ადამიანის ცხოვრება მაშინ მთავრდება, როცა იაზრებს, რომ არარაობაა, არარაობიდან იშვა და არარაობისკენ ისწრაფვის.

დაახლოებით ისეთი შეგრძნება, კლდიდან რომ ფეხი დაგიცდება და მთელი სისწრაფით დაეშვები უფსკრულისაკენ, ისეთი სისწრაფით, რომ ფსკერამდე შენი ერთი ატომიც კი ვერ მიაღწევს, რადგან გზაში დაიშლები. მერე პანიკურად ეჭიდები ყოველ ხავსს, ყოველ გამოშვერილ ხმელ ტოტს, რომელიც იცი, რომ ადრე თუ გვიან ჩატყდება, მაგრამ მაინც ეჭიდები.

ქვემოთ ვერ იხედები, გეშინია, თავბრუს გახვევს შავი სიღრმე, თუმცა ნელ-ნელა გრძნობ შენც როგორ შავდები და უერთდები იმ დიდ არარას. ასე იკარგები ორ სამყაროში. ერთი ქვემოთაა, სულ ახლოს, მეორე ზევით, საიდანაც სინათლის სხივი თითქმის უკვე ვეღარ აღწევს შენამდე და სანამ მისი მბჟუტავი წერტილი ისევ ირეკლება შენს თვალებში. ჯერ კიდევ ელოდები ძალას, რომელიც მაღლა აგტყორცნის ელოდები... ელოდები, ელოდები მანამდე, სანამ სარკეში ჩახედვისას ვეღარც საკუთარ თავს დაინახავ, და ვეღარც მბჟუტავ წერტილს თვალებში.

მერე ნამდვილ არარად იქცევი, ქრება ემოციები, გრძნობები, სურვილები, ღირებულებები... ზიხარ და ცარიელი თვალებით უყურებ, როგორ ქანაობენ ძაფზე ჩამოკიდებული ქაღალდის ჩიტები. რაღაც მომენტში შენი თავიც ასეთი ჩიტი გგონია, მხოლოდ ერთი ძაფი რომ აკავებს შენც მთელი ძალით ეჭიდები და კაცმა არ იცის, ეს თვითგადარჩენის ინსტიქტია, თუ შენში ღრმად ჩამალული სურვილი, ქვეცნობიერმა რომ მიჩქმალა "შავი დღისათვის". არ დაკვირვებიხართ ბავშვებს? როგორ აქვთ სავსე თვალები ნათელი მოციმციმე წერტილებით, მერე იზრდებიან და წერტილებიც ნელ-ნელა ქრება.

მოკლედ ყველაფერი სიზიფეს მითს გავს _ მიაგორებ ლოდს მთაზე ტანჯვა-ვაებით და ბოლოს, როცა აგაქვს, არ აყოვნებს და უკან გორდება. შენ კი უკვე მექანიკურად, მე უთვალავჯერ, კიდებ დაფლეთილ ხელებს ლოდს და ახლიდან მიაგორებ...

პრომეთე

მე ყოველ ღამე ვუყურებ როგორ იხრჩობა მზე ოკეანეში.

ვალდებულების არომატნარევი ნუგეში ვით უღონო ვარ ამ დროს. ან როგორ ვუშველო? რომ შემეძლოს ორივე ხელს შემოვახვევდი და მანამდე მეჭირებოდა, სანამ ფერფლად არ ვიქცეოდი. ან... ან სულაც ოკეანეს დავლევდი მზის გადასარჩენად და მერე ცრემლებად გამოვდევნიდი ჩემგან. თან რა ლამაზად კვდება... მუქ ვარდისფრად, ზოგჯერ წითლად ან ნარინჯისფრად. პრომეთეს რეინკარგარნაცია რომ განეცადა მზე იქნებოდა, ცეცხლს და სინათლეს აჩუქებდა ადამიანებს და მერე ჩაიღვრებოდა ჰორიზონტზე. უზარმაზარი გავარვარებულ ბურთულა, რომელიც მუდმივ წვაშია და ამ წვით აქ პატარა დედამიწაზე სიცოცხლეს უფრთხილდება. მზეშიც კი რამხელა ტრაგიზმია, ღმერთმანი. ან იქნებ ადამიანის თვისებაა ასე ტრაგიკულად აღიქვას ყველაფერი. იქნებ თვითონ ადამიანია ტრაგიკული თავისი არსით? პრომეთე ხომ იდეალია ადამიანთა დაუსრულებელი ტანჯვისა, სიზიფე განა რა არის, თუ არა ამაოების იდეალი, ორფეოსი კი ტრაგიკული სიყვარულისა... მითოლოგია სავსეა ადამიანური ტანჯვის იდეალებით. ადამიანი არის პრომეთეც და დანარჩენიც ადამიანი არის მუსიკა, მხატვრობა, პროზა, მეცნიერება. ჰო, ზუსტად მეცნიერება განა ცხოველები, მცენარეები და უცხო პლანეტები იმიტომ არ გვაინტერესებს, რომ გავიგოთ, რა ადგილი გვაქვს ჩვენ თვითონ ამ ყველაფერში? იქნებ იმიტომ მინდა მზის გადარჩენა, რომ ჩემს თავს ვხედავ მასში? ხედავთ? მზეც ადამიანი ყოფილა. საოცრად სევდიანი და დაკარგული არსებები ვართ, ყველგან და ყველაფერში ჩვენს თავს ვეძებთ, მაგრამ ვერ გვიპოვნია. ტანჯვა რომ არ იყოს, განა ბედნიერება მოგვინდებოდა, ან საერთოდ იარსებებდა? არა... სხვა არსებებივით კმაყოფილებას დავჯერდებოდით და უფრო მაღალ შრეებზეც არ ვიოცნებებდით. ასეა: ინი იანს წარმოშობს, იანი კი ინის. სწორედ ასეთი უამრავი ინისაგან შედგება ადამიანი და ამიტომაცაა ასეთი უბედური, ვინ იცის. მზე ოკეანეში იხრჩობა-მეთქი, ვამბობდი... ჰოდა ეს ოკეანე ადამიანშია, მზე კი თავად ადამიანი. პრომეთეც ადამიანობის კლდეზეა მიჯაჭვული, სიზიფე ადამიანობას მიაგორებს მთაზე დაუსრულებლად, ორფეოსი კი... ორფეოსი ადამიანობაზეა შეყვარებული, ოღონდ ტრაგიკულად.

და მაინც ადამიანი უფრო მეტია _ ვიდრე "ადამიანი".

წარსულის გადმონაშთები

16 წელი, რამდენიმე 24 ბედნიერი საათი და 6570 დღის განმავლობაში დაგროვებული უამრავი მოგონება უამრავი ადამიანი.

ცხოვრება ყველაზე სასაცილო დრამაა რომლის კადრებიც ჩვენში ინახება, ინახება ძველი სახეები, ადამიანები, რომლებსაც. ოდესღაც იცნობდი, ბედნიერი დღეები, უბედური უფრო მეტი.

იყო ბედნიერი, ძალიან რთულია, მაგრამ ამ ტრაგედიაშიც ჩნდება ნათელი წერტილები, რომლებიც ინთებიან და ქრებიან. ადრე თუ გვიან. მეხსიერებაში კი არაფერი არ ქრება, აქ მოგონებების დიდი საცავია და სურვილისამებრ ვანაწილებთ მასში ადამიანებს.

ყოველ ღამე, როცა თვალებს ვხუჭავთ და წარსულს ვიხსენებთ, ვაცოცხლებთ ადამიანებს, ემოციებს. დღეებს, წამიერი ბედნიერების შეგრძნებაც კი გადმოდის წარსულიდან და მერე ცრემლად იღვრება. მერე მოდის ნოსტალგია, მონატრება და ვხვდებით, რომ ცხოვრებაში არის რაღაცეები, რაც მხოლოდ ერთხელ ხდება.

ესეც ცხოვრების ერთ-ერთი ხუმრობაა, მას ხომ ასე ძალიან უყვარს შავი იუმორი.

გვართმევს ადამიანებს, მათთან ერთად უამრავ ოცნებას და მერე დღეებიც წრფივად და თანაბრად მიედინება, ჩვენ კი თავში ერთი აზრი გვიტრიალებს _ თურმე ბედნიერები ვყოფილვართ და მხოლოდ ახლაღა ვხვდებით. როცა ყველაფერი დაკარგულია.

ფოტოებზე ასახული ჩვენი წარსული, ბავშვური გულუბრყვილობა პატარა თვალებში და გვერდით მდგარი პატარა მეგობარი, ურომლისოდაც ვერ წარმოგვედგინა ცხოვრება. შემდეგ ისიც ქრება და დღეებიც ჩვეულებრივ მიიზლაზნება.

ვიხსენებთ ყველაფერს და ვხვდებით, როგორ გვიყვარს ყველანი, ვინც ოდესმე ჩვენს ცხოვრებაში რაღაცას ნიშნავდა, მათ ხომ მთელი მოგონებები შეგვიქმნეს და ერთი წუთით მაინც გვაგრძნობინეს ბედნიერება.

არის მოგონებები ერთი შეხედვით ბედნიერი, მაგრამ მათი გახსენება დიდ ტკივილს გვაყენებს, მერე საათობით ვზივართ და ვტირით.

ვიხსენებთ და არ გვჯერა, რომ ეს ადამიანი ოდესღაც ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყო და ახლა უიმისოდ ვიღიმით.

აღარ არსებობს არანაირი "ჩვენ", მისგან მხოლოდ ძველი მითები შემორჩა, თითქოს არც არასდროს ყოფილა.

ზოგჯერ ვნანობ რომ სიყვარული შემიძლია, ღმერთმანი, ძალიან დიდი მისია, გიყვარდეს, როცა აღარაა...

უბრალოდ ადამიანები არ ვცდილობთ, ვიყოთ ბედნიერები, უაზროდ ვხარჯავთ დღეებს. დაუფიქრებელი საქციელით ჩვენთვითონვე ვინგრევთ ოცნებებს და საუკუნეებს ვატარებთ სინანულში. ვერ ვხედავთ ბედნიერებას, ვერ ვხედავთ ადამიანებს სწორ დროსა და მომენტში, მათ მნიშვნელობას მხოლოდ დიდი ხსნის შემდეგ, ძალიან გვიან.

და ბოლოს, უბრალოდ დავაფასოთ ადამიანები მანამ, სანამ ისინი ჩვენთან ერთად არიან და თუ ოდესმე წავლენ (და ვიცი რომ აუცილებლად წავლენ) ღირსეული ადგილი მივუჩინოთ მეხსიერებაში.

მე თქვენ მიყვარხართ, მოგონებებო!

მარია

***

აღარც კი მახსოვს წამი დაწყების,
როგორც სიზმარში ვერ გავრკვეულვარ,
არ დაგავიწყდეს, წინ გაიხედე,
სანამ შენ თვითონ არ წაქცეულხარ.
თითქოს მათბობდა ირგვლივ სამყარო,
არსად გაქცევა მე არ მინდოდა,
ზოგჯერ მეტყოდნენ, ლექსო, აქ ხარო?
როცა წვიმაში წვიმა ტიროდა.
ვერც დაასრულეს ცრუ დასაწყისით,
ველარც იპოვეს ნივთები წყალში,
თვითონ ამბობდა, მე იქ დავტოვე,
მაგრამ ვიცოდი მალავდა "წამში".
გაიმეორა ირგვლივ უკლებლივ,
თითქოსდა ყველა ერთად შეკრულა,
მერამდენჯერ გატეხეს "წამი",
რომელიც არსად არ დაკარგულა.
და ისევ ეძებს ხალხი "წამს"
გასატეხად რომ კვლავ გაიმეტონ
ვერსად იპოვეს და ეს კლავთ
"წამი" წამშია და წაიღეთ.
დატოვა სიტყვა, როგორც წარსულმა,
ჯერაც უცნობი დარჩა წამება,
ვერ გაიმეტეს, მაგრამ აღსრულდა
და დაასრულა გარდაცვალება.

დასასრული დასაწყისით

დავიწყოთ?! რა, რა უნდა დავიწყოთ, როცა დამთავრდა, მაგრამ შეიძლება ისე დავამთავროთ, რომ დასაწყისს ჰგავდეს, იცი, რა ხდება ამ დროს? არაფერიც არ ხდება უბრალოდ დასასრული არის რაღაც რაც გახდება შემდგომში რაღაცის დასაწყისი... იმიტომ მეშინია დამთავრების, რომ ის შეიძლება არ ჰგავდეს დასაწყისს და მის შემდეგ არაფერიც დაიწყოს. მაგრამ წავალ წინ იმ დასასრულის დასაწყისის ძიებაში, რადგან რაღაცის დამთავრებით რაღაც ახალი იწყება. მაგრამ მე არ მინდა ახალი, მე ძველი მირჩევნია ახალი დასაწყისით, მე შენ გიპოვი თავიდან და თავიდან გეტყვი, რომ ჩემი გული შენია და თამამად გეტყვი, რომ გული შენია და თამამად გეტყვი, რომ არ მეშინია იმის, რომ ოდესმე დავკარგავ, რადგან ეს არ მოხდება... ამიტომ დაველოდებიდი იმ დასასრულს, რომელსაც დასაწყისი ექნება, მაგრამ არა სხვა დასაწყისი, დასაწყისი, რომელიც ძველს ახლიდან დაიწყებს, სადაც მე მთელი გულის ტკივილით და სიძლიერით გეტყვი, რომ მიყვარხარ.

ლექსო სანიკიძე

ნოლის საჯარო სკოლა კვლავ აკაკი შანიძის სახელობისაა

ნოღის საჯარო სკოლა 1967 წელს გაიხსნა დიდი მეცნიერის, აკადემიკოს აკაკი შანიძის თაოსნობით.

სკოლას 1987 წელს ბატონი აკაკი შანიძის 100 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭა აკაკი შანიძის სახელი. 2005 წელს, როცა მოხდა სკოლების სსიპ-იებად დაფუძნება, სკოლას ჩამოერთვა ბატონი აკაკის სახელი.

გასულ წელს ნოღის საჯარო სკოლის დირექციამ და სამეურვეო საბჭომ თხოვნით მიმართეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თანხმობა მიეცა კვლავ დაბრუნებოდა სკოლას დიდი მეცნიერის სახელი. ნოღის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ციალა ძნელაძე მადლობას უხდის სამტრედიის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ ჯამბურიას, ბატონ ბადრი შენგელიას, რომლებმაც გულთან მიიტანეს სკოლის თხოვნა და მოგვცეს თანხმობა.

ასევე, მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ქალბატონ თამარ სანიკიძეს, რომელმაც ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილა და სკოლას კვლავ აღუდგინა ბატონი აკაკი შანიძის სახელი.

იმედი მაქვს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა ასევე მოახდენს ბატონი აკაკი შანიძის სოფელ ნოღაში მისი მემორიალური მუზეუმის აღდგენას და ჩვენ ყველანი ერთად ვიზეიმებთ ამ დიდი პიროვნების დაბადებიდან 130 წლისთავს.

ციალა ძნელაძე
ნოღის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კალათბურთი ტრადიციებს ინარჩუნებს

წლების განმავლობაში სამტრედია სპორტული თამაშების (ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი) რაიონად ითვლებოდა და სპორტის ამ სახეობებში დღესაც ტრადიციებს წარმატებით ინარჩუნებს. ეს კი, პირველ რიგში, მათი მწვრთნელების დამსახურებაა.

2015 წლის 1 მარტს სტარტი აიღო და თითქმის ერთ თვეს მიმდინარეობდა იმერეთის რეგიონის პირველობა 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკ კალათბურთელებს შორის ლეგენდარული მწვრთნელის, სულიკო თორთლაძის სახელობის თასზე. ტურნირში მონაწილეობა მიიღო იმერეთის რაიონებისა და ქალაქების 11-მა გუნდმა. გუნდები ორ ქვეჯგუფად გაიყო და თამაშები წყალტუბოსა და ხარაგაულის შესანიშნავად მოწყობილ სპორტის სასახლეებში ჩატარდა. სამტრედიელმა კალათბურთელებმა წარმატებით იასპარეზეს ქვეჯგუფის თამაშებში და ნახევარფინალში საჩხერის გუნდს დაუპირისპირდნენ. იგი ანგარიშით 76 : 73 დაამარცხეს. ხოლო ფინალში ქუთაისის გუნდთან 90 : 76 დამარცხდნენ და მათთვის საპატიო მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ.

ქუთაისის სპორტის სასახლეში, პარალელურ რეჟიმში, ტაიმებს შორის ჩატარდა კონკურსი სამქულიან ტყორცნებში, რომელშიც სამტრედიის გუნდის წევრმა, 2000 წელს დაბადებულმა გიორგი ჩაჩუამ გაიმარჯვა. ფინალურ სროლებში გიორგიმ მოუგო საქართველოს ნაკრების წევრს, გიორგი ჭეიშვილს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამტრედიელ კალათბურთელთა გუნდი დაკომპლექტებული იყო 2 წლით უმცროსი კალათბურთელებით.

გუნდის მთავარი მწვრთნელი, ვეტერანი კალათბურთელი თამაზ ხაფავა მადლიერებას გამოხატავს სამტრედიის გამგეობისა და სპორტის ხელმძღვანელთა მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის. მათ კალათბურთელთა ნაკრებს საშუალება მისცეს მონაწილეობა მიეღო ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებაში.

რამაზ თელია
კომპლექსური სპორტული სკოლის კოორდინატორი

მინიატურები

***

წმინდანის სულივით ამოდის ნათელი,
ეს დილაც კიდევ ერთი
დანთებული სანთელი.
ზეცა გარეცხილ ზეწარივით
ხეებზე შეფენილი,
მზე ჩვილის ღიმილი
ცაზე შეწმენდილი.

გამოღარება

ღრუბელს ფეხი რომ გადაუტრიალდა
მზედ აყვირდა ტკივილისაგან...

გაზაფხულის ჩანახატი

ცამ შავი ჩადრი სახეზე აიფარა, გადასანახულებლად მოსულ აპრილს მისი მორცხვი სახე რომ არ დაენახა, მაგრამ ქვეშქვეშა გოგოსავით ჩადრის სადღაც ჭუჭრუტანიდან ისეთი თბილი მზერა გააყოლა, რომ აპრილმა იგრძნო ეს და თავის გულს მისი უცნაური გრძნობა ტოტს ახლადგამოჩეკილ ყვავილივით დაეკიდა...

***

მზემ კენწეროზე ბუდე დაიდგა
და კვერცხივით გამტყდარ კვირტიდან
ბარტყივით ფოთოლაკი გამოიჩეკა.

***

როგორ აჭრიალედნენ შაშვები და ბელურები _
ეს მოჭრიალე ურმების ხმები,
რომელიც მიდის დატვირთული მთელი სოფელით
ძველი ხისაგან გათლილი თვალებით.

***

ატმები ისე ქანაობენ
გამომჟღნარ ყუნწზე,
თითქოს ლოყები საკოცნელად
ეძებენ ტუჩებს.

ერმილე თოფურია

ირმა ჩხაიძეს!

შენ გაზაფხულივით ლამაზი და დაუდეგარი იყავი! სუფთა და ფაქიზი პოეტური, მუსიკალური. ძალიან მაკლიხარ!

2 მაისი შენი დაბადების დღეა. ოცი წლისამ დაგვტოვე, ახლა 29-ეს გილოცავ იმ დიდი საქართველოს მკვიდრს.

ნანა ჟანტურია

აaიპ სახლი ''თანადგომა'' თანაუგრძნობს დირექტორს ქალბატონ მზევინარ ბოხუას უსაყვარლესი დედის, ამაგდარი ქალბატონის

ზინა (ვენერა) ჩიტია-ბოხუას

გარდაცვალების გამო.
უფალმა ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს!

იმედა გოგავა თანაუგრძნობს ქალბატონ მზევინარ ბოხუას და რამიზო ფანცულაიას დედისა და სიდედრის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ზინა (ვენერა) ჩიტია-ბოხუას

გარდაცვალების გამო.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული!

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს მზევინარ ბოხუას დედის, ქალბატონი

ვენერას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს მანანა ტონიასა და თენგიზ წულაიას

დედისა და დედამთილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ნონა ფანცულაიას

დედის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ზაზა დუნდუას

დედის

გარდაცვალების გამო.

პიტნა _ თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

ამ საოცრად სურნელოვანი და არომატული მცენარის სარგებლობის შესახებ, ალბათ, ყველას გაუგონია, მაგრამ, ცოტამ თუ იცის მისი მრავალფეროვანი უნარისა და დანიშნულების შესახებ.

თუ თავი აგტკივდათ, არ იჩქაროთ წამლების დალევა. უმჯობესია, პიტნიანი ჩაი მიირთვათ _ ტკივილი მალე გაგივლით.

სხვა მწვანილებთან ერთად, აუცილებლად გამოიყენეთ პიტნა სალათებში, სოუსებსა და სუპებში. ამით, გარდა იმისა, რომ კერძებს გააგემრიელებთ, მოგეხსნებათ დაძაბულობა და გაღიზიანება.

მასაჟის გაკეთების დროს, სპეციალურ ზეთს შეურიეთ პიტნის ნაყენი და მთელ ტანზე შეიზილეთ. ეფექტს მაშინვე იგრძნობთ _ დაღლილობა და მოთენთილობა თვალსა და ხელს შუა გაქრება.

პიტნის ჩაი, ასევე, სასარგებლოა ტაქიკარდიისა და მჟავიანობის მომატების დროს, ხოლო, პიტნის ინჰალაცია ხსნის სასუნთქ ორგანოებს და ასუფთავებს ფილტვებს.

პიტნის ნაყენით სახის გაწმენდა ან კომპრესი მისწრებაა კანისთვის _ ის აახალგაზრდავებს მას და ხელს უშლის ნაადრევი ნაოჭების წარმოქმნას. სხვათა შორის, ცნობილ რუსულ აბანოებში დღემდე გამოიყენება.

პიტნა _ მისი ორთქლი არა მარტო სხეულისთვის არის სასარგებლო, არამედ, სპობს ჰაერში არსებულ ბაქტერიებს.

ერთიცა და მეორეც
ხართ ქალაქის ''გენია'',
სამტრედია უთქვენოდ
ვერ წარმოგვიდგენია!

არქეოლოგებმა მონა ლიზას ჩონჩხი იპოვეს

არქეოლოგებმა იპოვეს ჩონჩხი ფლორენციის ერთი მონასტრის იატაკის ქვეშ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ნახატის ''მონა ლიზას'' საიდუმლო ამოხსნეს.

ჩონჩხი ეკუთვნის ლიზა ჯერარდინის, რომელიც არქეოლოგთა აზრით პოზირებდა ლეონარდო და ვინჩისათვის.

ლიზა ჯერარდინი მდიდარი აბრეშუმით მოვაჭრე ფერნანდო დელ ჯოკონდას მეუღლე იყო. იტალიაში მონა ლიზა ცნობილია, როგორც ჯოკონდა. თანამედროვე ისტორიკოსთა უმეტესობა თვლის, რომ ლეონარდო და ვინჩის ტილოზე გამოსახული ქალბატონი სწორედ ლიზა ჯოკონდაა, რომელიც მონაზვნად აღიკვეცა ქმრის გარდაცვალების შემდეგ. ლიზა გარდაიცვალა მონასტერში 1542 წლის 15 ივლისს, 63 წლის ასაკში. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრები წმინდა ურსულას მიტოვებულ მონასტერში გასულ წელს დაიწყო. მათ მალევე იპოვეს სამარხი, რომლებშიც მათი აზრით ლიზა ჯერარდინი უნდა იყოს დასვენებული. მათ აღმოაჩინეს თავის ქალა, რომელიც ქალს ეკუთვნოდა. თავის ქალა და ადამიანის სხეულის სხვა ფრაგმენტები არქეოლოგებმა იატაკიდან 1,5 მეტრის სიღრმეში იპოვეს. ადამიანთა დასაფლავება საკულტო შენობებში წინათ საკმაოდ პოპულარული იყო. მაშინ გათხრების წარმოება შეჩერდა დაფინანსების სიმცირის გამო, თუმცა წინა თვეში არქეოლგებმა ისევ განაახლეს გათხრები. ამ კვირაში ნაპოვნი იქნა ადამიანის ჩონჩხი. ჩონჩხს ჩაუტარდება ექსპერტიზა რაც დაადგენს შეესაბამება თუ არა ის წინა წელს ნაპოვნი თავის ქალას. ამის შემდეგ მეცნიერები შეადარებენ ლიზასა და იქვე დასვენებული მისი ორი შვილის ნეშტის დნმ-ს.

მას შემდეგ რაც მეცნიერები დარწმუნდებიან, რომ ჩონჩხი ნამდვილად ლიზა ჯერარდინის ეკუთვნის ისინი შეეცდებიან, კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით აღადგინონ და შეადარებენ და ვინჩის მიერ 500 წლის წინ დახატულ სურათს. შესაძლოა, ერთხელ და სამუდამოდ მოხერხდეს ჯოკონდას ღიმილის საიდუმლოს ამოხსნა.

7 ეშმაკური ხერხი ფსიქოლოგიაში, რომელთა ცოდნა ყველასთვის სასარგებლოა

1. როდესაც კომპანიაში რამდენიმე ადამიანი იცინის, ყოველი მოცინარი იმას უყურებს, ვინც სხვაზე მეტად ესიმპათიურება, ან იმ ადამიანს, რომელსაც ყველაზე ახლობლად ისურვებდა.

2. თუ ნერვიულობთ, ან სერიოზული საქმის მოლოდინში ხართ, კევი ღეჭეთ. ასე დამშვიდებას შეძლებთ, რადგან საჭმლის მიღება ქვეცნობიერად ამშვიდებს ადამიანს.

3. თუკი ვინმე გიყვირით, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. შესაძლოა, ასე უფრო გაანაწყენოთ თქვენი თანამოსაუბრე, რადგან შემდეგ აუცილებლად შეაწუხებს სინდისის ქენჯნა.

4. თუ თანამოსაუბრის პასუხი არ გაკმაყოფილებთ, ან მიგაჩნიათ, რომ არასრულად გიპასუხათ, ნუ ჩაეკითხებით, უბრალოდ, ყურადღებით ჩახედეთ თვალებში. ასე იძულებული გახდება, თვითონ განმარტოს ნათქვამი.

5. მნიშვნელოვანი გასაუბრების წინ წარმოიდგინეთ, რომ ინტერვიუერი თქვენი დიდი ხნის მეგობარია. ასე უფრო მხნედ იგრძნობთ თავს და მღელვარებაც სადღაც გაქრება.

6. თუ ხალხთან გიწევთ დიდხანს მუშაობა, თქვენს უკან სარკე დაიდგით. ბევრი კლიენტი უკეთ მოიქცევა, რადგან არავის სურს საკუთარი თავის ხილვა გაბრაზებული და გაღიზიანებული სახით.

7. პირველი შეხვედრა ჯობია, იქ დათქვათ, სადაც გაცილებით მეტი დადებითი ემოციის მიღებაა შესაძლებელი. შედეგად კი, მიღებული შთაბეჭდილება თქვენთან იქნება ასოცირებული.

მადლობა

ამას წინათ, მოულოდნელად აღმოვჩნდი საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, ბეწვზე ეკიდა ჩემი სიცოცხლე. გადაუდებელი ოპერაცია ქირურგებმა არჩილ ბეჟუაშვილმა და ნუკრი ფახურიძემ გამიკეთეს. მადლობა ხელმადლიან დასტაქრებს, მედდა ელისო დევიძეს, ყველას ვინც ჩემს გამოჯანმრთელებაში შეიტანა წვლილი.

ღმერთმა უმრავლოს სამტრედიას, საქართველოს, გულისხმიერი, პროფესიონალი მკურნალები.

შუქრი ურუშაძე
კედაგოგი

სოფელ ბაშის ღვთისმშობლის მიძინებისა და წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარს

დეკანოზ იოანეს (კოხრეიძე)!

დაბადების დღეს გილოცავთ, მზეგრძელობას, უფლის წყალობას გისურვებთ. იდღეგრძელეთ მრავალრიცხოვანი მრევლის გასახარად!

''სამტრედიის მაცნე''

ვულოცავთ!

70 წელი ღვთის სათნო ქალბატონისთვის ისეთი საუნჯეა, რომელიც ამქვეყნად მოყვასის გულსაც გაპოვნინებს და უფალთანაც მიგიყვანს, უბრალოებასა და მორჩილებას გასწავლის, სულიერი სიმხნევით აგავსებს და ჩუმი სიხარულითაც დაგამშვიდებს, რომ ის დგას ტაძრად ხატებთან და შენთვის ლოცულობს. სწორედ ასეთია ჩვენი ნენე _ გულნაზი ღირდალაძე _ სამტრედიის მრევლთაგან ერთ-ერთი უხუცესი. ძვირფასი მოძღვრის, მამა რომანოზის უპირველესი თანამლოცველი, მამა აკაკის სულიერი შვილი, ამავდროულად მისთვის დედასავით სანდო და ერთგული, ჩვენი ტაძრის მრევლისთვის მაგალითი ღვთისმოსაობისა და ქრისტიანული თავდადებისა.

სიყვარულითა და განსაკუთრებული მოწიწებით ვულოცავთ მას 70-ე გაზაფხულს, ვუსურვებთ მზეგრძელობას, სულიერ და ხორციელ სიმრთელეს, სიხარულს ორსავ სოფელსა შინა.

ჩვენო ძვირფასო ნენე!

ღვთისმშობლის კალთა გფარავდეს უფლისაკენ სავალ გზაზე აწ და მარადის!

ქრისტესმიერი სიყვარულით დეკანოზი აკაკი ქვანია, ელენე ესებუა და ჭაგნის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მრევლი

ოჯახის ნათლიას, საუკეთესო მეზობელს და მეგობარს გურამ ახობაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

რევაზ კანდელაკი ოჯახით

ლიზი ქანთარიას!

6 წლის შესრულებას გილოცავთ, ჩვენო უდიდესო სიხარულო, სიყვარულო და ჩვენო პირველო მერცხალო, გაზაფხულზე ჭიკჭიკით მოვლენილო. უღრუბლო ბავშვობა, ნათელი მომავალი გქონოდეს, იხარე შენი დედიკოსა და მამიკოს გულის გასახარად, ერის გასაძლიერებლად და საამაყოდ. გკოცნით და გეხვევით შენი ბებო და ბაბუ, იზო ნადირაძე და მიშა ქანთარია.

რევაზ კანდელაკს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ხანგრძლივ სიცოცხლესა და უფლის წყალობას გისურვებთ.

ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი

ბატონო რევაზ, გილოცავთ დაბადების დღეს, მრავალს დაესწარით. მხნეობასა და ჯანმრთელობას გისურვებთ, ჩვენი ქვეყნის სამსახურში დიდხანს ყოფნას, იხარეთ და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ!

''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა